cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელ სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 16 ივნისი, 2015 წელი.

№109 (7754)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

ძველი ქართველები რომ იტყოდნენ, წინ – წყალი, უკან – მეწყერი, სწორედ ასეთი რამ უბედურება დამართია ჩვენს დედაქალაქს, როგორც ჩანს, მინაში არასაიმედოდ დამარხულმა მდინარე ვერემ, რომელმაც სტი-

ქიისგან ბორტად გაგულისებულმა და ავად ძალამოცემულმა შავი 13 ივნისი გაგვითენა!.. გახდება თუ არა ეს საშინელი სიკვდილიანი დღე თითქმის 1 600 წლის თბილისის სამომავლო სიცოცხლის მწარე გაკვეთილი?!.

პატრიარქმა ერი დალოცა

გუშინ სიონის საკათედრო ტაძარში პანაშვიდის დასრულების შემდეგ პატრიარქი ამბიონზე აბრძანდა და ერი დალოცა. ამბიონზე პატრიარქთან ავიდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. პრეზიდენტმა და პრემიერმა მწუხარება გამოთქვეს ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა გამო. პრეზიდენტმა ისურვა, რომ ღმერთმა აცხონოს უდანაშაულო სულები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე იმედს გამოთქვამს, რომ მწუხარება სიხარულით შეიცვლება.

უწმინდესი მიესალმა ტაძარში მყოფ საქართველოს მთავრობის წევრებს, პრეზიდენტს, პრემიერს და აღნიშნა, რომ დღეს სრულიად საქართველო გლოვობს.

„ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს და შევთხოვთ უფალს, რომ უფალმა ნათელში დაამკვიდროს მათი უკვდავი სულები. დღეს ჩვენ მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს გაიზიარონ ეს მწუხარება და მიიღონ მონაწილეობა“, – აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა მიმართა თბილისში მოქმედი ტაძრების წინამძღვრებს, მოძღვრებს, ყურადღება მიაქციონ გარდაცვლილთა ოჯახებს ამ გაჭირვების ჟამს.

„მე მინდა ასევე დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს ახალგაზრდობას. ჩვენმა ახალგაზრდობამ გამოიჩინა რაღაც საოცარი თავდადება და მთელი ახალგაზრდობა გამოვიდა დასახმარებლად“, – აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, იგი ქალაქში იყო გასული და ნახა როგორ შრომობდნენ ახალგაზრდები თავდადებით.

„მწუხარება იმედია, სიხარულით შეიცვლება და ჩვენი ხალხი, ხელისუფლება, ჩვენი ეკლესია ყველაფერს გააკეთებს, რომ მსგავსი არ განმეორდეს. უნდა იყოს გათვალისწინებული ის, რაც მოხდა და აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა“, – განაცხადა უწმინდესმა.

უწმინდესმა ისურვა მშვიდობა და სიხარული მისცეს უფალმა საქართველოს.

გლოვის დღე

ჟეშმარიტად ტრაგედიის დღედ შევა 2015 წლის 13 ივნისი საქართველოს თანამედროვე მატიანეში. ღამის ათ საათზე დაწყებული რამდენიმესაათიანი კოკისპირული წვიმის შედეგად, მდინარე ვერეს ხეობის მარჯვენა სანაპიროზე, წყნეთი-ბეთანიის მონაკვეთზე ორ წყებად ჩამოწოლილმა მეწყერმა, ეს ერთი ციდა ღელე ჩახერგა, მერე დაგროვილმა წყალმა ახლად წარმოქმნილი ზღუდე ერთიანად გაარღვია და ქვა-ღორღისა და ლაფის რამდენიმე ათეული ტონის მასამ, ვიდრე მტკვარამდე ჩამოაღწევდა, თბილისის მიმდებარე უბნებს, კალაპოტის გასწვრივ ახალ გაყვანილ გზას, იქაურ მაცხოვრებელთა სახლებსა და კარმიდამოებს, გზად ავტომანქანებით მოძრავ ხალხს ერთიანად გადაუარა.

სტიქიის შემოტევამ უზომო ზარალი მიაყენა დედაქალაქს, უსახლკაროდ დარჩა ათობით ოჯახი, მაგრამ ყველაზე დიდი ტრაგედია ადამიანთა მსხვერპლია! 15 ივნისის მდგომარეობით, წყალდიდობას თორმეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 10 კაცი გუშინ ცოცხალი დაუბრუნდა ოჯახს, დანარჩენი 14 კაცი კი ჯერჯერობით უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

15 ივნისი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებულით საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა, ყველა უწყებაზე სახელმწიფო დროშები დაუშვეს.

უსახლკაროდ ორმოცდაათამდე ოჯახი დარჩა, რომელთა გადარჩენილი წევრები თბილისის რამდენიმე სასტუმროში დროებით განათავსეს, ერთი ხელი სამოსელის ამარა ხალხისთვის თბილისის ყველა რაიონის გამგეობაში პირველადი მოხმარების საგნებს, ტანსაცმელს, კვების პროდუქტებს აგროვებენ.

წინასწარი მონაცემებით, დედაქალაქს 40 მილიონი ლარის ზარალი მიადგა.

ერთიანად დაახლოებით რამდენიმე ათეული საცხოვრებელი სახლია დანგრეული.

სტიქიამ დააზიანა ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალი, დატბორილია საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის მუშაობას კოორდინაციას უწევს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში ყველა შესაბამისი სამსახურია ჩართული.

– გმირთა მოედანი და ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორია სტიქიური უბედურების ზონაა. სახელმწიფო სტრუქტურები, მერია, საკრებულო უწყვეტ რეჟიმში კოორდინირებულად მუშაობენ. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ არც ერთი ჩვენი თანამოქალაქე დახმარების გარეშე არ დარჩეს. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდახუთივე სამაჟორიტარო ბიურო მუშაობის საგანგებო რეჟიმზეა გადასული. და მერიის შესაბამისი სამსახურებთან შეთანხმებით მუშაობენ, – განაცხადა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მერიის სამსახურებს და სამინისტროებს სამუშაო ჯგუფების შექმნის დავალება მიეცათ, რომლებიც სტიქიის შედეგების ლიკვიდაციასა და ზარალის ოდენობის დადგენაზე იმუშავებენ.

ვალპურგის ღამე

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა“...

სწორედ ღვთის რისხვა იყო, რაც იყო 13-14 ივნისის ღამეს თბილისში, განსაკუთრებით მდინარე ვერეს ხეობაში და გმირთა მოედანზე.

მოსახლეობამ იმღამინდელი ყველა მთავარი მოვლენა საკუთარი თვალით იხილა ტელეეკრანების საშუალებით. ნახა ნგრევა, სიკვდილი, განწირულება და მოყვასისათვის თავდადებაც, მხარში დგომაც. იმ ღამეს და მთელ მეორე დღეს სტიქიის განუზომელ ბოროტებას უდავოდ სძლია სიკეთემ, კაცთმოყვარეობამ. სიხარულისა და სიამაყის მომგვრელი იყო უბნის ბიჭების მეზობლებისთვის თავდადება სვანიძის ქუჩაზე და ასობით თბილისელი ახალგაზრდის (და ძველგაზრდის) ერთსულოვანი მოხალისეობა წარღვნისგან წახდენილი გმირთა მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიების მოსაწესრიგებლად. მერიის სამსახურების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების, ექიმების ხალხთან დგომა და სიმამაცე, დაბნეულობისა და უაზრო ფუსფუსის გარეშე.



თბილისის ზოოპარკის ვატერლოო მყისიერი და საშინელი იყო. ეს უკვე მეორედ დაიღუპა იგი უკანასკნელი 60 წლის მანძილზე. მახსოვს მაშინდელი კატასტროფა, რომელსაც აღორძინება მოჰყვა. მაგრამ ამჯერად დადასტურდა, რომ ზოოპარკის იქ, ვერეს ხეობაში ყოფნა მართლაც აღარ შეიძლება. ამდენად, ეს დამშვიდობებაა ახლობელთან, ძვირფასთან.

ყველაფერი ვნახეთ, მაგრამ ვიმეორებ, მხოლოდ იმიტომ, რომ თითქოს იმედი გვქონდა დაკარგული, გათითოკაცებული საზოგადოების კვლავ ერთ მუშტად შეკვრის, სხვისი ჭირის საკუთარ ჭირად გათავისების უნარის და მონდომების.

ამასთან, უმწვავესად დგას კითხვა: რატომ მოხდა რაც მოხდა, ვინ არის დამნაშავე? გუშინწინ ამის რკვევის დრო და ადგილი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ახლა, რაც უფრო ვშორდებით 14 ივნისის მღელვარე ღამეს, ეს კითხვა სულ უფრო მწვავედ დგება.

თუმცა, ჯერ კიდევ გუშინწინ, როდესაც დაზარალებული ადამიანები დაღუპულებსა და საკუთარ თავს დასტიროდნენ, ვიღაცვიღაცებმა სცადეს ეს კითხვა როგორმე წამოეწიათ ცუდად შენიღბული პოლიტიკური საფანელით.

ეს იმდენად აშკარა და გულისამრევი, ამასთან არსებული ტრაგიკული ვითარების შეურაცხმყოფელი იყო, რომ თავისთავად იბადებოდა პასუხი – ვაი, შენს პატრონს, უბედურს!

ჩვენი უაქტიურესი და „ყოველთვის მზადმყოფი“ ოპოზიციონერი ნიკა მელია, რომელიც მზიან ამინდშიც სანთლით ეძებს ყველაფერ საეშმაკოს და სიბინძურეს, დღის მანძილზე ასე თუ ისე იკავებდა თავს დისკუსიის ატეხვისგან, მაგრამ, როცა საღამოს მაინც მოახერხა „რუსთავი-2“-ის გაბუნიას „არჩევანში“ გაძრომა, ხელისუფლება უმალ საბედისწერო შეცდომაში გამოიჭირა: ბეთანიაში რომ მთა მოწყდა და ვერე ჩახერგა, მოსახლეობა მაშინვე უნდა გაეფრთხილებინათ მოსალოდნელი საშიშროების თაობაზეო.

ეს გულთმისანი „კოდელი ნინო“ (იგულისხმება – ნიკა!) მერე მეორე საეჭვო თემას შეება – მაშველებმა საშველად მისვლა დააგვიანესო.

ერთი სიტყვით, ეს ელეგანტური, საგულდაგულოდ თავგაპრიალებული კაცი სწორედ რომ უკანასკნელი „პადჟიგატელივით“ იქცეოდა.

რა თქმა უნდა, მელიას მაღვალაკური ჩაწოდება უმალ აიტაცა ყნოსვაგამახვილებულმა გიორგი გაბუნიამ და კარგა ხანსაც ღეჭა და ღეჭა.

ერთი სიტყვით, რუსები რომ იტყვიან, „Каждый рассуждает, по мере своей испорченности“-ო, ისე იყო.

ვიცი, ხვალ და ზეგ გაავებული ოპოზიცია დაიწყებს დისკუსიებს, შეხლა-შემოხლას, ერთი სიტყვით, ძნელად მოინელებს, რომ ხელისუფლებამ იმ კრიტიკულ ღამეს ძალზე ეფექტიანად გაართვა თავი საქმეს და მოსახლეობის გამოკვეთილი პატივისცემა დაიმსახურა.

ალეკო ასლანიშვილი

საქართველოში

ფაქტობრივად, განადგურებულია თბილისის ზოოპარკი, უამრავი ცხოველი წყალმა ვოლიერებში დაახრჩო, გარეთ გამოსული რამდენიმე მტაცებელი – ლომი, მგლები, სხვა, სამწუხაროდ, ტყვიით დახოცეს.

ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მზია შარაშენიძემ განაცხადა, რომ ეს დღეები ამა თუ იმ უბანში სხვადასხვა ცხოველის ნახვის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება, რაზეც სათანადო ჯგუფები მაშინვე რეაგირებენ და ადგილებზე გადიან, თუმცა კი, არც ერთი ასეთი შეტყობინება არ გამართლდა. ამიტომ, მოსახლეობას სთხოვენ, რომ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეიკავონ.

თუ რამდენი ცხოველია გაქცეული ზოოპარკიდან, დანამდვილებით უცნობია. მაგალითად, ბეჰემოთი გმირთა მოედანზე იპოვეს, ტრანკვილიზატორით დაამშვიდეს და უკან დააბრუნეს. ორივე ნიანგს კი ზოოპარკის ტერიტორიაზე ლაფში მიაგნეს. ვაზისუბანში ორი დათვის ბელი დაიჭირეს, შესაძლოა, ცხოველები დედაქალაქის სხვა უბნებშიც გამოჩნდნენ.

სრულიად დანგრეულია თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი, გადარჩენილია რამდენიმე ათეული ცხოველი, რომელთათვის ახალი ადგილსამყოფელია მოსაძებნი.

წყალდიდობას, საბედნიეროდ, ზოოპარკის ტერარიუმი გადაურჩა, ამდენად, სახიფათო ქვეწარმავლები არ გაქცეულან.

მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებით, თითოეული დაზარალებული დახმარებას აუცილებლად მიიღებს, ხოლო გარდაცვლილთა ოჯახებს 10-10 ათასი ლარი გამოეყოფათ სარეზერვო ფონდიდან.

სტიქიის შემოტევამ დააზიანა ვაკის სასაფლაო, საფლავების ნაწილი წყალმა წაიღო, ნაწილი კი დატბორილია.

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, 15,16 და 17 ივნისს საგამოცდო ცენტრსა და რესურს-ცენტრში, ასევე სასწავლო კორპუსებში დაგეგმილი გამოცდები 9 ივლისს ჩატარდება.

თვითმხილველთა და თავად დაზარალებულთა თქმით, იმ ავბედით ღამეს, ვერეს წყლის მოვარდნის დროს, იქაურობა საშინელი და საზარელი სანახაობა იყო. ხალხი შველას ითხოვდა, თუმცა, გარედან დახმარების გაწევა ვერ ხერხდებოდა, რადგან ყველაფერი აბობოქრებული წყლის გარდა, ლაფით იყო სავსე. გზად მიმავალი ხალხი იძულებული იყო მანქანები მიეტოვებინათ და თავისთვის ფეხით გაქცევით ეშველათ. ამ მანქანებიდან ზოგიერთი შემდეგ სახლების სახურავებზე აღმოჩნდა, ზოგიერთი მდინარემ გმირთა მოედანზე გაიტანა.

უბედურების სალიკვიდაციოდ, მაშველთა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელთა გარდა, უამრავი თბილისელი – სპორტსმენები, ექიმები, რიგითი მოქალაქეები გავიდნენ, რომლებიც ახლაც თავდაუზოგავად მუშაობენ. მათ, დარწმუნებული ვართ, ისევე, როგორც ქვეყნის ყველა მოქალაქეს, ახლა თავში ერთი კითხვა უტრიალებს: ვინ არის პასუხისმგებელი დატრიალებულ ტრაგედიაზე, ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი თბილისში ბოლო წლებში ძალადობრივ სამშენებლო პოლიტიკის გატარებაზე, ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნათა უგულებელყოფაზე, ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის დღემდე არარსებობაზე და კიდევ უამრავ სხვა საკითხზე.

ჩვენ, ქვეყნის მოქალაქეები, იმედს გამოვთქვამთ, რომ ყველა კითხვას ხელისუფლება არგუმენტირებულ პასუხს გასცემს.

გუშინ, შუადღეს, საქართველოს ყველა ეკლესიაში გლოვის ზარებმა ჩამოკრეს, სიონის საკათედრო ტაძარში კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II სტიქიის შემოტევის დროს დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად პარაკლისი გადაიხადა.

ოთარ ტურაბელიძე

მთელი მსოფლიო შეძრა თბილისის ტრაგედიამ

სომხეთის ეროვნული კრების სპიკერმა გალუსტ სააკიანმა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს სამძიმრის წერილი გაუგზავნა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„მიიღეთ ჩემი სამძიმარი დამანგრეველი წყალდიდობის შედეგად გამოწვეულ მსხვერპლთან დაკავშირებით. ვიზიარებ თქვენ ტკივილს და სიმტკიცესა და გამძლეობას ვუსურვებ დაღუპულთა ოჯახებსა და მოძმე ქართველ ხალხს. ყოველთვის თქვენ გვერდით გვიგულეთ“, – ნათქვამია სომხეთის ეროვნული კრების სპიკერის წერილში.

* * *

საუდის არაბეთის პრინცი ალვალიდ ბინ–ტალალ ბინ–აბდულაზიზი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო სამძიმარს უცხადებს.

„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი წყალდიდობის შედეგად ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებით“, – ნათქვამია პრინცის წერილში.

* * *

ლატვიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლაიმდოტა სტრაუიუმა თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას საკუთარ „ტვიტერზე“ ეხმაურება.

„ვესაუბრე ჩემს კოლეგას ირაკლი ღარიბაშვილს და ქართველი ხალხის მიმართ ჩემი ღრმა სამძიმარი გადავეცი. ამჟამად თბილისში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება“, – წერს ლატვიის პრემიერ-მინისტრი.

* * *

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაი თბილისში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს უსამძიმრებს.

„საშინელი დღე იყო თბილისში წყალდიდობის შედეგად. ჩემი ღრმა მწუხარება იმ ოჯახებს, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს. ჩვენი ფიქრები იმ ათასობით ადამიანთანაა, რომლებიც დაზარალდნენ“, — წერს ჯეიმს აპატურაი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ლიტვის პრეზიდენტის, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის ქართული დიასპორის სამძიმრის წერილებს აქვეყნებს.

ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ ქართველ ხალხს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო სამძიმარი გამოუცხადა. „ჩვენი ფიქრები ქართველ ხალხთან არის, ვუსურვებ ქართველ ხალხს გამძლეობას და სტიქიის შედეგებთან გამკლავებას“, – წერს ლიტვის პრეზიდენტი.

თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო სამძიმარს უცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს თამარ ბერუჩაშვილს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კეიტ პენტუს-როსიმანიუსი.

თურქეთის ქართული დიასპორა სტიქიით დაზარალებულებს ეხმარება. „14 ივნისს, ქ. სტამბოლში გაიმართა სტამბოლის ეთნიკურად ქართული წარმოშობის დიასპორის წარმომადგენლების (ქ. სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრი, ქ. სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი, ქ. სტამბოლის ქართული კულტურის სახლი და სხვები) შეხვედრა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების შესაბამისად დახმარება გაუწიონ თბილისში სტიქიით დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაზარალებულებსა და მათი ოჯახის წევრებს. ასევე, ანკარაში საქართველოს საელჩოს დაუკავშირდა ინეგოლის, საქარიას, ანკარის და სხვა ქალაქების ეთნიკურად ქართული წარმოშობის კულტურის ცენტრების ხელმძღვანელები, რომლებმაც გამოხატეს სრული მზადყოფნა და სურვილი დაეხმარონ დაზარალებულებს“, – ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

* * *

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„შეერთებული შტატების საელჩო უსამძიმრებს ყველას, ვისაც უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში თბილისში მომხდარი გამანადგურებელი წყალდიდობა შეეხო. ვგლოვობთ 12 ადამიანის დაღუპვას. ელჩი ნორლანდი დედაქალაქის მერ ნარმანიას ესაუბრა.

ელჩმა დაადასტურა ჩვენი მზადყოფნა, დავეხმაროთ მთავრობასა და ხალხს იმ დროს, როდესაც ისინი გარდაცვლილებს გლოვობენ, დაშავებულებს მკურნალობენ და ბუნებრივი კატასტროფისაგან მიყენებულ დანაკარგებსა და ზარალს ითვლიან“, – ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

* * *

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თბილისში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს უსამძიმრებს, – ამის შესახებ რუსულ მედიას პუტინის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განუცხადა.

„პრეზიდენტი მწუხარებას გამოთქვამს თბილისში ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაღუპულების გამო და გამოხატავს თანაგრძნობას მათ მიმართ, ვინც დაშავდა და ვინც სახლები დაკარგა“, – განაცხადა დიმიტრი პესკოვმა.

მისივე თქმით, რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურმა საქართველოს უკვე შესთავაზა დახმარება სტიქიის შედეგებთან ბრძოლაში.

წინ – წყალი, უკან – მეწყერი!..

კიდევ რამდენი „ნაღმი“ დაგვიტოვეს „მიშას ბიჭებმა“?!

ერთი „ნაღმი“ უკვე ამოქმედდა, აბობოქრებულმა მდინარე ვერემ ქალაქის ცენტრი წალეკა, ადამიანების სიცოცხლე შეიწირა და ამ ისედაც აუტანელ ყოფაში, რამოდენიმე ათეულ ოჯახს თავშესაფარი საბოლოოდ წაართვა!

აშკარაა, რომ ყველაფერი ნაციონალების მიერ აშენებული და გაკეთებული, ფაქტიურად, მუყაოს დეკორაციები ყოფილა!

დეკორაციებს გვიდგამდნენ, თვალში ნაცარს გვაყრიდნენ და ყველაფერი მათ მიერ „აშენებულ-დამშვენებელი“ სერიოზულად შესამოწმებელი და თავიდან ასაშენებელია!

რა ვქნათ?

რა და, პირველ რიგში, უსახლკაროდ დარჩენილი ხალხია მისახედი და „მიშას ერთ-ერთ ნაღმზე აფეთქებული“ მიცვალებულებია დასაკრძალავი, გაუბედურებული ქალაქია მისახედი...

ამიტომ, ის პოლიტიკური ძალა თუ ინდივიდი, რომელიც შეეცდება თბილისში დატრიალებული უბედურების პოლიტიკური ქულების მოსაგროვებლად გამოყენებას, ნაძირალა და გარეწარია!

იქნებ ახლა მაინც დააღწიოს თავი მმართველმა პარტიამ და ხელისუფლებამ დასავლეთის თუ ჩრდილოეთის ზეგავლენას და სამართლიანად და მიუკერძოებლად დაიწყოს გამოძიება, თუ როგორ მოხდა, რომ იმ ადგილას, სადაც რამდენიმეჯერ ადიდდა მდინარე და დაატრიალა უბედურება, სწორედ ასეთ სახიფათო ადგილას, სტიქიის ფაქტორის გაუთვალისწინებლად, სატრანსპორტო არტერია აშენდა, ანუ სახიფათო „ნაღმი“, „დეკორაცია“ და „კეთილდღეობის ყალბი ფასადი“ დაგვიტოვა მისი „სახელის უკვდავსაყოფად“ „შადრევან პირველმა“?!

ნერონმა რომის ბიბლიოთეკა გადაწვა, რომ ისტორიაში შესულიყო! სააკაშვილმაც დაიმკვიდრა ადგილი ისტორიაში, როგორც „ცრუ მიხეილმა“, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ როგორც „ცრუ მიხეილის“ „გამპრავებელმა“!!!

თამაზ ჭეიშვილი

სპეციალისტები ამ ტრაგედიას პროგნოზირებდნენ, მაგრამ საკითხი უგულებელყოფილი იყო

...აშკარაა, რომ წყლის ღვარცოფულმა მასამ ვერ გაიარა იმ არტახებში, მილებში, რომლებიც კონსტრუირებულ იქნა ვაკე-საბურთალოს გზის პროექტის ფარგლებში. სპეციალისტები ამას თავის დროზე პროგნოზირებდნენ, მაგრამ საკითხი უგულებელყოფილი იყო. სამწუხაროდ, ასეთი უგულებელყოფა, მე ვიტყოდი, შეცდომაში გაჯიუტება, ძვირი დაგვიჯდა. დაგვიჯდა ადამიანების სიცოცხლედ და დაგვიჯდა ძვირი, მატერიალური თვალსაზრისით. ასეთი ნალექი ბევრჯერ ყოფილა და სხვა დროს კიდევ უფრო მეტი ნალექი იყო. გუშინ თბილისში, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ინტენსივობის წვიმა იყო. ამან ბიძგი ოცამდე მეწყრულ პროცესს მისცა. ყველაზე დიდი მონაკვეთი ეს იყო 1420-მეტრის სიმაღლის მთა, მასზე არსებული ტყე და თიხის მასა და როცა ის მოწყდა, ყველაფერი ქვემოთ ჩამოირეცხა. ჯერ ჩაიკეტა, ჩაკეტვის შედეგად დაგუბებული წყლის უზარმაზარი მასა ნაყარმა ქვა-ღორღმა ვეღარ დაიჭირა და ახალდაბიდან თბილისამდე თავისუფლად გამოაღწია და როგორც კი ქალაქის ტერიტორიაზე შემოვიდა, იმ ადგილებში, სადაც პროექტის განხორციელების შემდეგ ახალი არხები, გვირაბები გაჩნდა, იქ სადაც მდინარე შევიწროვდა, ასეთი შემზარავი შედეგი მივიღეთ...

მიღებული სამწუხარო გამოცდილების გათვალისწინებით, სპეციალისტებთან ერთად უნდა მოხდეს საკითხის შესწავლა, თუ როგორ შეიძლება განხორციელებული პროექტის გადაპროექტება და სამომავლოდ რისკებისგან თავის დაზღვევა.

გიგლა აგულაშვილი,
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი

მეწყერსაშიში ზონები თბილისში

უბნები, სადაც სტიქიის რეალური საფრთხეა

13 ივნისს, თბილისში მომხდარმა წყალდიდობამ ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა, არსებობს თუ არა საფრთხე წყალდიდობისა, არსებობს თუ არა თბილისში მეწყერსაშიში ზონები და რამდენად ვართ მისგან დაცულები.

ამ კითხვებზე კომენტარი გეომორფოლოგ მერაბ გონგაძეს ვთხოვეთ:

— მეწყერსაშიში ზონებია მთაწმინდის ფერდობები, რომელიც ვაკისკენ, მთაწმინდის რაიონისკენ და სოლოლაკისკენ ჩამოდის, ასევე მეწყერსაშიში ზონაა მახათას მთისკენაც, ლოტკინის მხარეს და ასევე, გლდანისკენ, სარაჯიშვილის მეტროს რომ გაცდებით (იქ, სადაც ძველი გამგეობაა) მთელი ფერდობი მოძრავი ფენებისგან შედგება. გლდანის მეშვიდე მკრ-ს ზევით არის ახალი სასაფლაო, რომელიც ასევე მეწყერსაშიში ზონაა და თუ გახსოვთ, დაახლოებით 3 წლის წინთ, თითქმის მთელი სასაფლაო წაიღო. მეწყერსაშიში ზონაა მუხათგვერდისკენ არსებული ფერდობებიც, რომელიც სულ იმეწყრება. ესაა ზოგადი სურათი და უშუალოდ ამ კონკრეტულ მომენტში იქ რა მდგომარეობაა, ამას კვლევები სჭირდება.

— წყალდიდობის საფრთხეები რამდენად არსებობს თბილისში?

— მაგალითად, 1972 წელს ისე ადიდდა მტკვარი, რომ გადმოვიდა და რამდენიმე მანქანა წაიღო კიდეც. ეს ყველაფერი დამოკიდებულია წვიმაზე. თუ ნალექი მოდის 1 საათში 30 მმ-ზე მეტი, ის უკვე ითვლება კატასტროფულად. 2012 წელს ორთაჭალაში რომ მოხდა წყალდიდობა, მაშინ მოვიდა საათში 60 მმ ნალექი, წვიმა გრძელდებოდა 3 საათს, ანუ სამ საათში 180 მმ, რამაც გამოიწვია ასეთი ცუდი შედეგი. გუშინწინდელი წყალდიდობის დროს, აქ გაცილებით დიდი იყო ნალექის რაოდენობა, თან ამას დაუმატეთ ისიც, რომ მდინარე ვერეს აქვს ძალიან დიდი წყალშემკრები აუზი და ამ აუზში შემავალმა წყლებმაც დაიწყეს მატება, წვიმდა 4 საათის განმავლობაში და წამოვიდა წყლის უზარმაზარი მასა. მდინარე ვერეს ხეობა არის ვიწრო, ამიტომაც მოდიოდა დიდი სისწრაფით და დიდი რაოდენობით, თამარაშვილის ქუჩაზე არსებულმა გვირაბმა ვეღარ გაატარა წყალი, გადმოვიდა ზევიდან და მოხდა ის, რაც მოხდა.

— ამ ყველაფრის პრევენცია თუ არსებობს?

— თბილისში არსებული ჩვენი მეტეოსადგური მუდმივად აწარმოებდა დაკვირვებებს და არსებობს ამის მონაცემებიც, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა ამ მონაცემებს. მეტსაც გეტყვით, როდესაც ვაკე-საბურთალოს გზის მშენებლობა დაიწყეს, საერთოდ, ფეხებზე დაიკიდეს ყველანაირი მონაცემი. წარმოიდგინეთ, 2 მილი ჩააგდეს და იქ მოათავსეს ამხელა მდინარე (თამარაშვილის ქუჩიდან გმირთა მოედნამდე), ეს იყო დაუშვებელი. უნდა გაკეთებულიყო ძალიან დიდი კოლექტორი, რომ წყალს თავისუფლად ემოძრავა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ძველი კოლექტორიც, რომელიც გმირთა მოედნის ქვეშაა (1935 წელს აშენებული), ისიც ამოტენილი იქნება, რადგან კოლექტორი გაწმენდას საჭიროებს და მეეჭვება, ვინმეს ის გაეწმინდოს. რაც შეეხება მეწყერის პრევენციას, როდესაც უკვე დაძრულია, მისი შეჩერება ძალიან ძნელია, მაგრამ მეწყერსაშიში ფერდობების გამაგრება შესაძლებელია. თუმცა, აუცილებელია ასეთი ფერდობების აღრიცხვა და მუდმივი კონტროლი. გარემოს დაცვის გეოლოგიური სამსახური ამ თემაზე მუშაობს და აქვს უამრავი მასალა, თუმცა, მთავარი ამ მასალის გამოყენებაა.

ესაუბრა
ლადო გოგოლაძე

სააკაშვილის პოლიტიკური სამარე

ოდესის გუბერნატორად დანიშნული სააკაშვილი ქართველი საზოგადოებისთვის უკვე შეუდგა საგმირო საქმეების თხრობას. მოვლენათა განვითარება, ალბათ, მალე გვიჩვენებს, რას ნიშნავს უკრაინის ერთ-ერთ რთულ რეგიონში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გადასროლა – ეს არის ამერიკული ექსპერიმენტი თუ უკრაინული იდეის ხორცშესხმა; ვინ რას მიიღებს სააკაშვილის გუბერნატორობით? – ამ თემაზე გვესაუბრება ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე.

– საქართველოს ხელისუფლება სათითაოდ სთხოვს სხვადასხვა ქვეყნებს სააკაშვილის გადმოცემას, ამ დროს კიევი საქართველოს ძებნილ ექსპრეზიდენტს ერთ-ერთი ოლქის გუბერნატორად ნიშნავს. ეს პოლიტიკურ უხერხულობას არ ქმნის?

– სააკაშვილის პრობლემა უკრაინაში საქართველოს ხელისუფლებისთვის მაიდნის მოვლენებისა და პოროშენკოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გახდა აშკარა. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში სააკაშვილი საკმაოდ აქტიურობდა და, როგორც ითქვა, უკრაინის ახალი პრეზიდენტი მისი ინსტიტუტის მეგობარი აღმოჩნდა – ეს ერთი მომენტია.

მეორე მომენტი ის არის, რომ პოროშენკოს, როგორც პოლიტიკოსს, უკრაინაში არც ისე მაღალი რეიტინგი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მან საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, სრულფასოვანი გუნდის ჩამოყალიბება მაინც ვერ მოახერხა. ამიტომ სააკაშვილისა და მისი გუნდის, როგორც რეფორმატორების გაპიარება და ამით გარკვეული ილუზიის შექმნა იმ პერიოდში პოროშენკოს სააკაშვილზე არანაკლებ სჭირდებოდა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ პირველ პერიოდში იყო ინტერესების გარკვეული თანხვედრა, მაგრამ როგორც მგონია, ამ პერიოდმა გაიარა და დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური სცენიდან ამ ხალხის (ქართველი რეფორმატორების) ნელ-ნელა კულისებისაკენ გადაყვანა.

პოროშენკო ალბათ მკვეთრ ნაბიჯებს მოერიდა და შესთავაზა ერთ-ერთი დიდი ოლქის გუბერნატორობა. ჩემი აზრით, სააკაშვილს სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ან უკრაინიდან უნდა წასულიყო, ან ახალი რეალობა მიეღო და თავისი ახალი მდგომარეობის გაპიარებით დაკავებულიყო.

მგონია, რომ ამით ცდილობს, დრო მოიგოს – რას ელოდება, ეს სხვა საკითხია, ყოველ შემთხვევაში, აქედან ეს ყველაფერი ასე ჩანს.

მას რომ შანსი ჰქონოდა, კიევში დარჩენილიყო აქტიურ ფიგურად, როგორც პრეზიდენტის მრჩეველი და საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად, დასავლელ ლიდერებთან საურთიერთოდ, რა თქმა უნდა, ამ გზას აირჩევდა. როგორც ჩანს, კიევისთვის სააკაშვილი ზედმეტი აღმოჩნდა და ამიტომაც დაიწყეს მისი ასპარეზიდან ჩამოცილება.

– რაც ხდება უკრაინაში ნაციონალურ კადრებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, უფრო ამერიკულ ექსპერიმენტს ჰგავს, ვიდრე პოროშენკოს იდეას. თეორიულად დასაშვებია, რომ იმ შემთხვევაში, თუ რეფორმატორთა გუნდი ამ ურთულეს ქვეყანას გაართმევდა თავს, შეიძლებოდა ამერიკას საქართველოში მათი ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის მხარი დაეჭირა?

– თუ ამერიკის ინტერესებზე ვსაუბრობთ, შესაძლოა, ეს საკითხი მნიშვნელოვანი იყოს არა იმ თვალსაზრისით, რომ ერთ-ერთ ურთულეს ოლქში რაღაც საცდელი პროექტის განხორციელება დაიწყო, არამედ იმ კუთხით, რომ სააკაშვილმა თავისი ფუნქცია პოროშენკოსთან ერთად გაპიარებულიყო, ამოწურა.

როგორც ჩანს, ამერიკული პოლიტიკურ წრეებშიც ხვდებიან, რომ სააკაშვილი თავისი ზედმეტი აქტიურობით შესაძლოა, უფრო მეტ პრობლემას ქმნიდეს, იგივე დასავლურ პოლიტიკასთან მიმართებაში. ამიტომ, თუ ამერიკულ ინტერესზე ვსაუბრობთ, ეს ინტერესი ისაა, რომ ჯერ მეორე რიგში გადაიყვანონ...

სააკაშვილის ფიგურა უკვე ქმნის პრობლემებს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობაში, უკრაინა-საქართველოს ურთიერთობაში. ანუ, ბევრი მიმართულებით ხდება სააკაშვილის ფიგურა მიუღებელი და ვეღარ ჯდება დღევანდელ პოლიტიკურ გარემოში. ამიტომ ვფიქრობ, რომ მისი თამაშიდან გაყვანა ყველას ინტერესშია.

სადღაც გაიელვა, რომ შესაძლოა, ის უკრაინის პრემიერად დაბრუნდეს, მაგრამ რაც არ უნდა დიდი რეგიონი იყოს, მისი გუბერნატორობა მეორე ეშელონია და აქედან უკან, დიდ პოლიტიკაში დაბრუნება თითქმის შეუძლებელია.

რაც შეეხება იმას, რომ ოდესაში შეძლებს კორუფციასთან ბრძოლას და ა.შ. თავს ნუ მოვიტყუებთ. საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა რითიც დამთავრდა, ჩვენ ხომ

მაინც ვიცით? – ადეიშვილიც რომ გადაიყვანოს ოდესაში, ის რაც საქართველოში აკეთეს, არ გაამართლებს. ბევრი ფაქტორია, რის გამოც ისეთივე რეფორმებს ვერ გაატარებს, როგორიც საქართველოში გაატარა, პოროშენკოც რომ მისი ყოველმხრივ მხარდამჭერი იყოს.

გარდა ამის, უკრაინაში პოლიტიკური კლასი არსებობს და არა მგონია, სააკაშვილი ყველასათვის ერთნაირად მისაღები იყოს. ესეც ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ სააკაშვილი ისე განუკითხავად ვერ იმოქმედებს ოდესის ოლქში, როგორც საქართველოში მოქმედებდა.

– გამორიცხავთ, რომ ამ ურთულესი რეგიონის გუბერნატორობა ერთგვარი ტესტი შეიძლება იყოს, სააკაშვილისთვისაც და მისი დანიშვნის იდეის ავტორებისთვისაც? თან სააკაშვილის მართვის მეთოდებიცა და შემართებაც ცნობილია, განსაკუთრებით, პიარის ნაწილში... შესაძლებელია, რომ ქართული გამოცდილება – შიშითა და ტერორით წესრიგის დამყარება, მოკლე პერიოდში ოდესაში რეალობად აქციოს?

– გავიხსენოთ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდი – პირველი გამოსვლები სააკაშვილის წინააღმდეგ დაიწყო 2007 წელს, ანუ ხელისუფლებაში მოსვლიდან სამ წელიწადში. სააკაშვილმა ეს შეძლო რამდენიმე მიზეზის გამო, იგივე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იპოდრომიდან ხალხი რომ დაძრულიყო, არ მგონია, ის ყველაფერი, რაც ხდებოდა, მომხდარიყო. თანაც, ეს მოხდა ქვეყანაში, სადაც ის პრეზიდენტი იყო და ყველაფერს განაგებდა. ანუ საქართველოში სხვა სიტუაცია იყო და ოდესაში სხვა სიტუაციაა, თანაც ნაკლებად მგონია, რომ სააკაშვილს კიევიდან ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდეს ოდესაში რაღაცების განსახორციელებლად.

სააკაშვილს საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლისას ძალიან მაღალი პოლიტიკური კრედიტი ჰქონდა 2003 წელს. უკრაინასა და ოდესაში მას პოლიტიკური კაპიტალი უბრალოდ, არა აქვს. შესაძლოა, ოდესის გარკვეულ ნაწილში ხდება კულტივირება, რომ მან საქართველოში რაღაც კარგი გააკეთა, მაგრამ როგორც კი უშუალოდ დაიწყებს კონკრეტული საქმეების კეთებას, იმავე წუთში გაჩნდება მის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც საქართველოში იყო. ვგულისხმობ იმ ყველაფერს, რასაც ის საქართველოში აკეთებდა 2007 წლამდე – უკანონო დაპატიმრებების სერიებს, საპროცესო შეთანხმებებს და ა.შ. ოდესაში ამ ყველაფრის გამეორება შეუძლებელი იქნება.

გარდა ამისა, ოდესა საბჭოთა კავშირის პერიოდშიც კი გაცილებით თავისუფალი ქალაქი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის დანარჩენი ქალაქები და მას ვერ მოუარა ბოლშევიკურმა რეჟიმმაც კი. ოდესის ჩარჩოში ჩასმა ყოველთვის რთული იყო და როდესაც იმ მეთოდებით დაიწყებს სააკაშვილი საქმიანობას, რა მეთოდებსაც საქართველოში იყენებდა, მაშინვე ააგორებს ძალიან ძლიერ საპროტესტო ტალღას.

თუ მართლა იმისათვის არის გადაყვანილი, რომ ოდესაში ხელოვნურად მღელვარება დაიწყოს, ამით გარე ძალებმა ისარგებლონ და რაღაც სხვა პროცესები განვითარდეს, არ ვიცი! მაშინ ამაში პოროშენკოც ჩართული უნდა იყოს, თუმცა, ინტერნეტსივრცეში ისეთი ვერსიებიც ვრცელდება, რომ მისი დანიშვნა რუსეთის ინტერესში იყო იმისათვის, რომ ოდესაში შეიყვანოს სამხედრო ძალები და ა.შ.

– ანუ ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ოდესაში გადაყვანით სააკაშვილი პოლიტიკურ სამარეში ჩააგდეს?

– ყველაფერი მიანიშნებს, რომ სააკაშვილი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცემა, როგორც პოლიტიკოსი. მთელ ამ ყველაფერში მხოლოდ ამ ინტერესს ვხედავ, როგორც კიევის, ასე დასავლეთის მხრიდან.

– ეს ნიშნავს, რომ მალე, შესაძლოა, სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთთან აღარც კი იყოს ასოცირებული? – პარტიის დაშლის პროცესი დაიწყო და პროგნოზები ამ პროცესის გაგრძელების შესახებაც კეთდება... ის, რაც ნაციონალური მოძრაობისგან დარჩება, უკვე სააკაშვილის გარეშე იქნება?

– სააკაშვილის გარეშე ნაციონალური მოძრაობა უკვე დარჩენილია, რადგან სხვა ქვეყნის მოქალაქე უბრალოდ, ვერ იქნება პარტიის თავმჯდომარე. საინტერესო პროცესები მიდის ნაცმოძრაობაში. ვფიქრობ, იმ ოთხეულმა, რომელიც გამოეყო, იცოდა, რომ სააკაშვილი საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებდა. შესაბამისად, მათ უბრალოდ, პროცესებს დაასწრეს – მათი განცხადებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ცოტა ნაჩქარევი ჩანდა.

ნაციონალებს ამის შესახებ რომ სცოდნოდათ, აუცილებლად დაიწყებდნენ საქართველოში ნიადაგის შემზადებას, რომ სააკაშვილის ეს გადაწყვეტილება ქართველ საზოგადოებას პოზიტიურად აღექვა. თანაც სააკაშვილის ამ უეცარი გადაწყვეტილებით ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდა ცოტა რთულ ვითარებაში, რადგან ვერ ასწრებენ ახალ რელსებზე გადაწყობას მომავალ არჩევნებამდე.

ერთადერთი, რაც შეიძლება გამოიყენონ, ეს არის სააკაშვილის ოდესაში საქმიანობის პიარი. სააკაშვილს ნაციონალური მოძრაობა სხვა ვერაფერში ვეღარ გამოიყენებს. შესაძლოა, პროცესები იქით წავიდეს, რომ ნაციონალური მოძრაობა კიდევ გაიყოს. ამ ვითარებაში, რამდენად აქვთ შანსი, რომ წარმატებულები იყვნენ 2016 წლის არჩევნებში, უკვე კითხვის ნიშნის ქვეშაა და ის 10%, რაც მათ უცვლელად ჰქონდათ, შესაძლოა, კიდევ შემცირდეს.

არ გამოვრიცხავ, დაიწყოს ბრძოლა ბარიერის გადალახვაზე, პროპორციულ სიაში მოხვედრაზე, იმასაც ვარაუდობენ, რომ ვინც გამსვლელ სიაში ვერ მოხვდება, იმ ლიდერებმა შესაძლოა, პარტია დატოვონ და სხვა პარტიებს შეუერთდნენ.

– ანუ გამოდის, რომ მოქალაქეობაზე უარის თქმით სააკაშვილმა თავის პარტიას სერიოზული დარტყმა მიაყენა...

– ოდესაში გადასვლით სააკაშვილმა, ფაქტობრივად, კრიტიკულ სიტუაციაში ჩააყენა ნაციონალური მოძრაობა. ეს რომ ადრე გაეკეთებინა, ბევრი რამის მოსწრებას, პარტიის გადაწყობას მაინც შეძლებდნენ ნაციონალები, მაგრამ დღეს ამის მოსწრება შეუძლებელია.

– გამოდის, რომ სააკაშვილისთვის ყველანაირად წამგებიანი ნაბიჯია ოდესაში გადასვლა. როგორ ფიქრობთ, რატომ დათანხმდა?

– თუ მას უბრალოდ, ულტიმატუმი წაუყენეს? დავუშვათ, არ დათანხმებულიყო, რა პერსპექტივა ჰქონდა უკრაინაში? სააკაშვილი სახლში თუ წავიდოდა კიევიდან, ეს უკვე იქნებოდა პოლიტიკური კრახი. ახლა ის გადავიდა სხვა პოზიციაში, მეორე პლანზე, მაგრამ მაინც არსებობს (საქართველოსთვის).

თუ სააკაშვილი ერთი წელი მაინც გაძლებს ოდესაში, მაშინ მის წარმატებებს ნაციონალური მოძრაობა თავის საარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენებს – ანუ ნაციონალური მოძრაობა შეეცდება, ოდესა უკრაინის ოაზისად წარმოაჩინოს და ა.შ...

პრინციპში, სხვა პიარი ნაციონალებს უბრალოდ, აღარ რჩებათ – თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნამ საგარეო ორიენტაციის და ნატოს თემა ამოწურა – ვგულისხმობ თემებს, რომელსაც ნაციონალები სავარაუდოდ, გამოიყენებდნენ წინასაარჩევნო კამპანიისთვის. საუბრები კორუფციაზე, ან „ეს არ მუშაობს“, „ის არ კეთდება“, საქართველოში დღეს ნაკლებად მუშაობს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე აგებული პიარით ნაციონალებს ძალიან გაუჭირდებათ თუნდაც საკუთარი ამომრჩევლის შენარჩუნება. სააკაშვილს დატოვებენ არა პარტიის თავმჯდომარედ, არამედ ლიდერად.

– საინტერესოა, რა გუნდის ლიდერად?

– იმ გუნდისა, რომელსაც ერქმევა ნაციონალური მოძრაობა. ესეც საჭირო იქნება იმისათვის, რომ ორგანიზაცია შეინარჩუნონ, პარტიული მოძრაობის ვერტიკალი შეინარჩუნონ, სხვანაირად შეიძლება პარტიაში დაიწყოს რყევები და პარტია სტრუქტურულადაც დაიშალოს. სააკაშვილის სახელი პარტიის შესანარჩუნებლად დასჭირდებათ.

– მეორე მხრივ, როგორც ამბობენ, სააკაშვილის ხელშია მთელი პარტიული ფინანსები. ამით ვერაფრის გაკეთებას შეძლებენ?

– ცხადია, რომ სააკაშვილის არხით ნაციონალები ისეთ ფინასებს ვეღარ მიიღებენ, როგორც თუნდაც ერთი წლის წინათ. როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი დაფინანსება იყო ნაციონალებისთვის, მაგრამ, როგორც ითქვა, სააკაშვილი ნაციონალების მიღწევებით უკმაყოფილია. ბოლომდე გაწირავს თუ არა, ნაციონალურ მოძრაობას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისეთი დაფინანსება აღარ იქნება. სააკაშვილისთვის 5 და 10-პროცენტიანი ნაციონალური მოძრაობა მაინცდამაინც მიმზიდველი არ არის, ისე, როგორც გუბერნატორობა, მაგრამ თუ სურს, ცოტა ხნით მაინც პოლიტიკაში თავი შეინარჩუნოს, იძულებული იქნება, ამასაც დათანხმდეს, – სხვა პერსპექტივა უბრალოდ აღარ აქვს.

– როგორც ჩანს, სააკაშვილს ამერიკის რომელიმე უნივერსიტეტში ლექციების კითხვაც არ ხიბლავს... ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტობის პერიოდში ამაზე ბევრს საუბრობდა...

– სააკაშვილის სურვილი ლექციების კითხვა კი არა, რეალურ პოლიტიკაში, ხელისუფლებაში დაბრუნებაა. როგორც ჩანს, ყველა წრე მიხვდა, რომ ეს შეუძლებელია და ამიტომაც დაიწყეს პოლიტიკური სცენიდან მისი ნელ-ნელა გაყვანა.

მარიამ თოდაძე

„მაგთისატი“ – უშგულში ყველა ოჯახის ძვირფასი სტუმარი

საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არათუ მთაგორიანი, არამედ მაღალმთიანიც კია, მთის რეგიონების საკითხი, იქაური მოსახლეობის სოციალური ყოფა, განსაკუთრებით კი დიდთოვლობის დროს, როცა ბევრგან ვერც ავტომანქანით, ვერც ცხენით კაცი ვერ მივა, ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს პრობლემა ახლა უკვე იმდენად გამძაფრდა, რაც, უწინარესად, მთის რეგიონების მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრებით, თითქმის საყოველთაო უმუშევრობით, ზოგადად, მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობებითაა გამოწვეული, რომ ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი შტოების უმაღლეს ეშელონებში ცალკე მთიანი რეგიონების სამინისტროს შექმნაზეც კი დაიწყო ლაპარაკი. მართალია, ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ თავად ამ საკითხის დღის წესრიგში წამოყენება მთიანი რეგიონებისადმი ხელისუფლების ყურადღების გამახვილებას მოწმობს. მით უფრო ფასეულია ამ მხრივ როგორც ფედერალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მხარში ამოდგომა კერძო სექტორის მხრიდან. ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ თანადგომაზე, რომელსაც საქართველოში საკომუნიკაციო სფეროს ერთ-ერთი ლიდერი კომპანია „მაგთიკომი“ მთის მოსახლეობისადმი იჩენს.

კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის მეტად მნიშვნელოვანი აქცია, რომელიც კომპანია „მაგთიკომმა“ რამდენიმე დღის წინათ ევროპის ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტში, სვანეთის სოფელ უშგულში მოაწყო. საქმე ის არის, რომ, როგორც მოგეხსენებათ, ხვალიდან ქვეყნის ტელემაუწყებლობა მუშაობის ციფრულ რეჟიმზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ კერძო თუ იურიდიულ პირებს, ვინც აქამდე სიგნალს ჩვეულებრივი ანტენით ღებულობდნენ, ახლა უკვე სპეციალური ციფრული დეკოდერების შეძენა სჭირდებათ, ანდა თავად ტელემიმღებში სათანადო მოწყობილობა ქარხნული წესით უნდა იყოს ჩადგმული, რათა მომხმარებლებმა საქართველოს ტელეარხების მიღება და ყურება შეძლონ. იმ შემთხვევაში კი, თუ ტელეაბონენტს „მაგთისატი“ აქვს დაყენებული, მას ეს ცვლილება არ შეეხება, ამდენად, 17 ივნისიდან ციფრულ სიგნალს ძველებურად მაღალი ხარისხით მიიღებს.

კომპანია „მაგთიკომის“ უშგულში მოწყობილი საქველმოქმედო აქციის არსი კი ის არის, რომ სოფელში მოსახლე 63 ოჯახს „მაგთისატის“ ტელეთეფში და ციფრული დეკოდარი უფასოდ დაურიგდა და ვიდრე მათ სურვილი ექნებათ, კომპანიის მომსახურების ათლარიანი პაკეტის ფარგლებში საქართველოს 19 ტელეარხის ყურებას უფასოდ შეძლებენ.

ეს მართლაც ღირსშესანიშნავი ამბავი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასულ კვირას მესტიაში, კომპანია „მაგთიკომისა“ და მესტიის გამგებელ კაპიტონ ჟორჟოლიანის მონაწილეობით მოხდა.

სადღეისოდ „მაგთისატი“ საქართველოს 100 ათასზე მეტ ტელეაბონენტთანაა წარმოდგენილი, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად უშგულში ციფრული ტელემაუწყებლობის მიღების პროექტს, ამ სოციალურად მეტად მნიშვნელოვანი აქციით გაცილებით უკეთ წარმოჩინდება, რომ თანამგზავრულ მაუწყებლობას, ისეთი მთაგორიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, მისი დამკვიდრების გადაწყვეტილება იდეალურად მისადაგებულია.

– ყველა ოჯახს უშგულში თეფში და ციფრული მიმღები საჩუქრად გადავეცით, ამდენად დღეიდან ყველა იქაური ოჯახი „მაგთისატის“ ქართულ პაკეტს სრულიად უფასოდ მიიღებს, – განაცხადა კომპანია „მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორმა **ირაკლი ლობჟანიძემ**. – ხოლო **იმ შემთხვევაში, თუკი ვინმეს საშუალო 25, ანდა სრულ 40-ლარიან პაკეტზე გადასვლის სურვილი გაუჩნდება, შეღავათი მაშინაც ექნება და 10 ლარით ნაკლების გადახდა მოუწევს.**

ამდენად, გაციფრულების პროექტი საქართველოში ჩვენ უკვე დავიწყეთ. „მაგთისატი“ ციფრულ თანამგზავრულ სატელევიზიო სიგნალს სოფელ უშგულის ყველა ოჯახს SES ASTRA 5B თანამგზავრის მეშვეობით მიაწვდის. ეს არის „მაგთიკომისა“ და ჩვენი პარტნიორის, მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი თანამგზავრული ოპერატორი კომპანიის SES-ის ერთობლივი საჩუქარი. ამ ერიდან უშგულის მოსახლეობა მთლიანად ციფრული ტელეფორმატით ისარგებლებს და თითოეულ ოჯახს შესაძლებლობა აქვს, სრულად დატკბეს თანამგზავრული სიგნალის ხარისხით, – აღნიშნა კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა.

„მაგთიკომის“ მიერ განხორციელებული პროექტის მნიშვნელობასა და ფასეულობას საგანგებოდ ხაზი გაუსვა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კაპიტონ ჟორჟოლიანმა,** რომელიც, მისი თქმით, ხელს შეუწყობს უშგულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის დარჩენას, რითაც სოფელს გაუკაცურება აღარ დაემუქრება.

– პროექტი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ უშგულის მოსახლეობას ქართული არხების უფასოდ, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგაც უწყვეტად მიღების შესაძლებლობა მიეცათ, არამედ იმიტომაც, რომ **მოსახლეობამ იგრძნო, დაინახა, რომ სახელმწიფოს გარდა არიან კომპანიები, რომლებიც ზრუნავენ მათზე და ცხოვრების პირობებს უმსუბუქებენ.** დარწმუნებული ვარ, უშგულის მოსახლეობა სწორად აღიქვამს ამას და არათუ ზამთრის, არამედ წლების, საუკუნეების განმავლობაში აღარ დატოვებს ამ ტერიტორიას, საკუთარ მიწა-წყალს, სახლებს. **„მაგთიკომი“ პირველი კომპანია აღმოჩნდა, რომელმაც ისეთი მკაცრი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების მქონე სოფელს, როგორიც უშგულია, რომელიც ყოველ წელს, ფაქტობრივად, 6 თვეს გარე სამყაროსაა მოწყვეტილი, მოსახლეობისთვის შესაძლებელი გახადა იმ გარე სამყაროსთან კავშირი იქონიონ.** ამიტომ, ამ კეთილი და ადამიანური ჟესტის გამო მუნიციპალიტეტის, რაიონის ხელისუფლების სახელით, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კომპანიას, – თქვა ბატონმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა.

სავსებით, ბუნებრივია, რომ უშგულის მოსახლეობა დიდი სიხარულითა და მადლიერების გრძნობით შეხვდა „მაგთიკომის“ წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს რომლებიც მესტიაში პროექტის პრეზენტაციის შემდეგ სოფელს ესტუმრნენ. ხალხს კომპანიის სიმბოლური საჩუქრები გადასცეს და წინა დღეებში დადგმული „მაგთისატის“ ანტენებიც დაათვალიერეს.

– ძალიან გვიხარია, პროექტის განხორციელებისთვის „მაგთისატის“ მადლობელი ვართ. მათგან ანტენების, ციფრული მიმღებებისა და მომსახურების პაკეტის უფასოდ შემოთავაზება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს, პირველ რიგში, ინფორმაციის მიღებაში დაგვეხმარება, ბევრი უნიკალური არხის ცქერის შესაძლებლობაც გვექნება. გარდა ამისა, „მაგთისატის“ ხარისხიც, სხვებთან შედარებით, ბევრად უკეთესია. აქამდე სატელიტური ანტენები გვქონდა, თუმცა კი, ხარისხთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები გვექმნებოდა ხოლმე. ჩვენში წელიწადში თითქმის ცხრა თვე ან ზამთარია, ან წვიმა და ავდარია, რის გამოც ანტენები ითიშებოდა, თუმცა კი, „მაგთისატი“ მუდამ მწყობრში იყო, – თქვა უშგულის მკვიდრმა **გენო ნიჟარაძემ**.

სოფლის ერთ-ერთი უხუცესის **ბორის ჩაქსელიანის** თქმით კი, უშგულის ყველა მცხოვრები „მაგთიკომის“ დიდი მადლობელია, რადგან ახლა ნაირ-ნაირი არხების ცქერის დიდი არჩევანი აქვთ. საამისოდ, კომპანიის წარმომადგენლებმა უშგულელებს ყველა პირობა შეუქმნეს, საჭირო მოწყობილობები ოჯახებში მიართვეს, ეს კი განსაკუთრებით დასაფასებელია.

– რაც „მაგთისატი“ გვაქვს, სხვა არხებს ბევრს არ ვუყურებთ, თანაც ქართული არხები ხომ საერთოდ უფასოდ გვაქვს, რითაც ქვეყნის ამბავს ვგებულობთ, ამას კიდევ ათასნაირი სხვა სანახაობა ემატება. „მაგთისატის“ მეშვეობით დიდი არჩევანი გვაქვს, ჩვენც მეტი განა რა გინდა?! – კმაყოფილებით ამბობს ბატონი ბორისი.

– აქამდე „მაგთისატი“ უშგულში დაახლოებით მხოლოდ 30 ოჯახს ჰქონდა, უმრავლესობას სხვა ანტენები ეყენათ, თუმცა კი, ხარისხში ანტენებს შორის დიდი განსხვავებაა, – ამბობს უშგულის რწმუნებული **ბესიკ ჩაქსელიანი**. – როცა სხვა ანტენები იყო, ამინდის გაუარესების დროს ტელეგადაცემების ხარისხი ძალიან იკლებდა ხოლმე, თუმცა „მაგთისატი“ ყველაფერს ისევ მკვეთრად გადმოსცემდა.

ახლა კი იმათაც, ვისაც სხვა, სატელიტური ანტენები ჰქონდა, „მაგთისატის“ ანტენები აქვთ, ვინც ადრევე იყო მისი აბონენტი, ის უფასო რეჟიმში ავტომატურად ჩაერთო.

ამდენად, ქვეყანაში ტელემაუწყებლობის რეჟიმში გადასვლის მეტად რთულ საქმეში, ხელისუფლების მხარდამხარ დგომა „მაგთიკომს“ უდავოდ ძალიან დიდ სიკეთედ ეთვლება. მით უმეტეს იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სვანეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა, ხეირიანად არც კი იცის, თუ რა ხდება საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რა უნდა მოიმოქმედონ, რომ სატელევიზიო გადაცემების ცქერა 17 ივნისის შემდეგაც შეძლონ, რას უნდა მიანიჭონ უპირატესობა და სხვა. სწორედ ამასთან დაკავშირებით უამრავი შეკითხვა დაუსვეს სვანეთში მოქალაქეებმა „მაგთიკომის“ წარმომადგენლებს და ყველა მათგანზე ამომწურავი, კომპეტენტური პასუხი მიიღეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ევროპის ყველაზე მაღალმთიან დასახლება უშგულში „მაგთიკომის“ საქველმოქმედო პროექტი, კომპანიამ თავის პარტნიორთან, მსოფლიოში წამყვან თანამგზავრულ ოპერატორ კომპანია SES-თან ერთობლივად განახორციელა. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის **ჰაკან სიოდინის** განცხადებით „მაგთიკომის“ პროექტი „მაგთისატის“ ციფრული მაუწყებლობა უშგულის ყველა ოჯახს, სკანდინავიის, ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის მთიანი რეგიონისთვის, სადაც SES-ი მოღვაწეობს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

– უშგულის ციფრულ პლატფორმაზე გადაყვანა უნიკალური გამოცდილების მომტანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვისაც. სიგნალის მიწოდების სხვა საშუალებებთან ერთად, თანამგზავრი იდეალურია საიმისოდ, რომ მომსახურება სწრაფად და ადვილად მიაწოდოს გეოგრაფიულად ასეთ რთულ რაიონებს, სადაც სხვა ტექნოლოგიების გამოყენება არახელსაყრელია როგორც ეკონომიკური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით – დასძინა ბატონმა სიოდინმა პროექტის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით.

ოთარ ტურაგელიძე

სად გააქრეთ მილიონები, SIR?!

თქვენ გეკითხებათ ქართველი ხალხი დღეს ავად ენადგაკრეფილო მისტერ გიგა ბოკერია და მისის თამარ ჩერგოლეიშვილო!

სად გაქრა ის რამდენიმე მილიონის საქმე, რის გამოც მთავარი პროკურატურა გიგა ბოკერიას ედავებოდა? – გამართლდა ამ საქმეში ბრალდებული, თუ ბიძინა ივანიშვილი ტყუოდა საჯაროდ? ის ხომ ევროპელი ლობისტებისთვის უყაირათოდ გადახდილ თანხებზე საუბრობდა, რასაც ნაციონალები პიარის სანაცვლოდ ბიუჯეტიდან გულუხვად ფლანგავდნენ? საქმე ეხება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად გიგა ბოკერიას მუშაობის პერიოდში ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობის საბიუჯეტო სახსრებისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფულადი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტებს. „საქმეს მინიჭებული აქვს საიდუმლო გრიფი და მასზე გამოძიებას საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს“, – ეწერა პროკურატურის ტექსტში.

ზემორე კითხვები პასუხს ელოდება, ხოლო გიგა ბოკერიასა და მისი თანამებრძოლების გულში მჯიღის ცემა ძველებურად გრძელდება... ცოლმა „უსამართლოდ დევნილი“ მეუღლე მხურვალე კოცნით მიაცილა პროკურატურის კარამდე და „ოცნებასაც“ მკაცრად დაემუქრა ჯოჯოხეთით: **„სადაც ნელსონ მანდელა იჯდა ციხეში 23 წელი, რამენაირად ამას ჩემი ქმარიც გადაიტანს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს და მის ვაჟს ვპირდები, რომ ჯოჯოხეთს მოვუწყობ“.**

რამდენიმე საათიანი დაკითხვის შემდეგ ბოკერია გაათავისუფლეს... საზოგადოება კი გაურკვევლობაში დარჩა. გიგა ბოკერიასა და თამარ ჩერგოლეიშვილისთვის შეიძლება მისტერ და მისის ბოკერიები გვეწოდებინა, რომ ვიცოდე, იმყოფებიან თუ არა ისინი სამოქალაქო ქორწინებაში. აქამდე ასე იყო, მხოლოდ ჯვარდაწერილები იყვნენ და ამით შეიძლება ერთგვარად გაქარწყლდეს კიდეც ეჭვი მათი იეღოველობის შესახებ, თუმცა... ეს „დემოკრატიის მედროშეები“ ისეთ ქარცეცხლს ატრიალებენ ხოლმე ქართულ პოლიტიკაში, ძნელია მათი კაცთმოყვარეობა ირწმუნო... მართალია, მენტალური უმცირესობის რიგებში თამარს „ჟანა დარკს“ უწოდებენ, მაგრამ ბასილ მკალავიშვილის მრევლის დარბევაში გიგა ბოკერია მონაწილეობდა...

2013 წლის 19 დეკემბერს, ნიკოლოზობა დღეს, თამარ ჩერგოლეიშვილი თავის ფეისბუქის გვერდზე პოსტს დებს „ბევრი ვიფიქრე და დავადგინე, რომ პუტინის გარდა არავინ მძულს!“ თუმცა, ივანიშვილი და მისი მთავრობა არანაკლებ სძულს, რადგან ცოლ-ქმარს ასე მოწესრიგებული და მყუდრო ცხოვრების ბალანსი დაურღვია. ცოლ-ქმრის ამერიკულ ვოიაჟებზე რომ არაფერი ვთქვათ... 2011 წლის აგვისტოში უშიშროების საბჭომ ბათუმში სასტუმრო „შერატონში“ სამდღიანი კონფერენცია გამართა. **გიგა ბოკერია თავის თანამეცხედრესა და 12 თანამშრომელთან ერთად სამი დღე „გულაობდა“ და იქ არანაირი კონფერენცია არ ჩატარებულა. ენრიკე იგლესიასის კონცერტს დაესწრნენ და ეს სიამოვნება ბიუჯეტს 55 ათასი ლარი დაუჯდა.**

საზოგადოება ფიქრობდა, რომ გამოძიება ასეთი დეტალებით დაინტერესდებოდა, მაგრამ დღეს უსააკაშვილოდ დარჩენილ ნაციონალებს გიგა ბოკერია მწყემსავს, ხოლო თამარ ჩერგოლეიშვილი – მათ პოლიტიკასა და სტრატეგიას წარმართავს. ცოლმა ქმარი ჩაანაცვლა. არადა, მთელი ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნის საგარეო პოლიტიკას სწორედ გიგა ბოკერია განსაზღვრავდა. ფიქრობდნენ, რომ 2008 წლის ომის სამარცხვინო წაგების გამო მაინც მოსთხოვდნენ პასუხს, მაგრამ ეს თემაც ღიად დარჩა. **არსებობს მტკიცებულებები, რომ იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებს, გასცემდა ბრძანებებს, რომელთაც გენერლები და ოფიცრები ასრულებდნენ და რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეებისა.** ეს ბრალი თუ დაუმტკიცდა ბოკერიას, სამუდამო პატიმრობა გარანტირებული აქვსო, წერდა პრესა.

2006 წლის ციხის ბუნტის მოწყობაშიც ყოფილმა ნაციონალმა ელენე თევდორაძემ პირდაპირ დაადო ხელი გიგა ბოკერიას. „ციხის ბუნტის“ დროს გიგა ბოკერია ორთაჭალის ციხეში იმყოფებოდა და ბრძანებებსაც გასცემდაო. ამ ამბებზეც ერთდროულად რამდენიმე საქმე იყო აღძრული და... გაჩერდა?!

„ნაციონალთა“ მმართველობისას უშიშროების საბჭოში 22 კაცი მუშაობდა. ხოლო მათი ბიუჯეტი 22 მილიონ ლარზე ნაკლები არასდროს ყოფილა. სახელფასო ფონდი მილიონ ნახევარ ლარს შეადგენდა. ისე მოხდა, რომ უშიშროების ყველა ხარჯი გასაიდუმლოებული იყო და მასში ჩახედვა მხოლოდ პრეზიდენტს შეეძლო. სამაგიეროდ, რამდენიმე დასავლური კომპანია ლობირებდა მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას. მარტო ერთ ამერიკულ კომპანია – Podesta Group-ს გიგა ბოკერიამ 2010 წელს 600 ათასი დოლარი გადაუხადა ამერიკაში სააკაშვილის პიარისთვის, ხოლო 2012 წელს ერთწლიანი კონტაქტი გაუფორმა და კვლავ 600 ათასი დოლარი ჩაურიცხა.

შეიძლება ამ პიარის ნაწილიც კი არის თამარ ჩერგოლეიშვილის, როგორც წარმატებული ადამიანის „ფორბსის“ ფურცლებზე მოხვედრა, ჟურნალისტთან ხუთსაათიანი ინტერვიუს განმავლობაში მხოლოდ ერთადერთხელ ჩაფიქრდა...

„გიგა რომ დაიჭირონ? – ვეკითხები. თითქმის მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში თამარი სავარძლის საზურგეზეა მიყრდნობილი. ნებისმიერ შეკითხვაზე დაუფიქრებლად მპასუხობს... როცა ეს შეკითხვა დავუსვი, პაუზა გააკეთა... მერე ხმამაღლა, სულ ახლოს, ძალიან მკაფიოდ გაისმა ერთი სიტყვა: **„დაიჭირონ“.**

მოკლედ „ფორბსიდანაც კი იმუქრება. ამ მომენტმა „ჩიტიპედიაში“ გადამისროლა, სადაც თამარზე ასე წერენ: **„სავსე მთვარობისას თბილისის მცხოვრებნი ქუჩაში გამოსვლას სწორედ თამარ ჩერგოლეიშვილის გამო ერიდებიან. თვთიმხილველების თქმით, უშიშროების საბჭოს მდივნის ცოლი ამ დროს განსაკუთრებით აგრესიულია, გამოირჩევა სირბილით – არამოტივირებული და ხმამაღალი სიცილის თანხლებით...“** „ფორბსში“ კი ის ნახატივით ჩანს და არა ქანდაკებასავით: ჰყვება, რომ არ მოსწონს ბრეჟნევი, როგორ შოულობდა დიდ ფულს ინგლისურის ცოდნის წყალობით, როგორ გაიცნო გიგა ერთ-ერთ საქმიან შეხვედრაზე, როგორ წააგო ნიძლავი მასთან, როცა მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტება ჯერ კიდევ 2000-იან წლების დასაწყისში იწინასწარმეტყველა გიგამ, როგორ გაასინჯა მარიხუანა ზურაბ ჟვანიას პარიზში, როგორ გახდა „ტაბულას“ რედაქტორი (სხვათა შორის, მეორე ნიძლავიც დადო: **თუ მოვინდომებ, მესტიის მაჟორიტარი გავხდებიო, მაგრამ ჯერ ადრეა, ხელისუფლებაში მოსვლას 2020 წლისთვის გეგმავს)...**

„ფორბსის“ მკითხველისთვის შეიძლება სულაც არ იყოს გასაკვირი თამარ ჩერგოლეიშვილის ხელფასი რედაქტორის თანამდებობაზე – 11 ათასი ლარი, მაგრამ ქართველი მკითხველისთვის ნამდვილი შოკია. რედაქტორი არც უარყოფს, რომ მის ჟურნალს ქართველი ბიზნესმენები ინახავენ. **„ტაბულა“ თითქმის დოტაციურია (წლიური ბიუჯეტი დაახლოებით მილიონი დოლარია) და მასში 70 ადამიანი მუშაობს. „ეს გასაკვირი არ არის – ძალიან სწრაფად გავფართოვდებით, ხელოვნური დაბრკოლებები რომ არა. ვფიქრობ, უფრო მოკლე დროში მივაღწევდით ფინანსურ მდგრადობას, ვიდრე ახლა“...**

რა თქმა უნდა, როცა მის მთავარ დამფინანსებელ კეზერაშვილს პრობლემები შეექმნა, ეს სხვა ჟურნალზეც აისახა. როგორც ამბობენ, ნაციონალების გაყრის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ჟურნალის ფინანსური მდგომარეობაა. პრესაში აქტიურად იწერება, რომ მალე ბოკერიაც დატოვებს პარტიას, ოღონდ ამის სანაცვლოდ სააკაშვილს წილს თხოვს. ამავე ინფორმაციით, პარტიის დატოვებას აპირებენ ლევან თარხნიშვილი, გოკა გაბაშვილი... მიხეილ სააკაშვილმა ბოკერია-ჩერგოლეიშვილის კამათის შემდეგ კეზერაშვილს „ტაბულას“ დაფინანსების შეწყვეტა მოსთხოვა. როგორც ამბობენ, კეზერაშვილი ახალაიების ფრთას მფარველობს...

ჭორად გავრცელდა ერთ გუნდად შეკრული ნაციონალების დაპირისპირების დეტალები: **„ბოკერიამ კონსერვატიულ ფრთას შეახსენა, რომ ეკლესიასთან ბრძოლის, ქართული ტრადიციების, ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელი დასავლური ღირებულებების საქართველოში იმპორტის შედეგად, ქვეყანაში მილიარდები შემოდიოდა და ამ ფულით, ვინც დღეს მებრძვით, იმათაც კარგად იხეირეთ, მილიონერები გახდით ყველანი. ამის შამდეგ დაახლოებით ოცამდე დეპუტატმა წამოიძახა, რომ საკუთარი ბიზნესიდან ბოკერიას არაერთ უცნაურ ახირებას უფინანსებდნენ, მათ შორის, სექსუალური და რელიგიური უმცირესობების აქტივობებს, ასევე, მისი მეუღლის კუთვნილ ჟურნალსა და ტელევიზიაში თურმე ასეულ ათასობით ისეთი რეკლამა მიჰქონდათ, რომელიც მათ ბიზნესს არაფერში სჭირდებოდა“.**

დეკლარაციებით ირკვევა, რომ გიგა ბოკერია მდიდარი ცოლის და ბიზნესმენი მამის პატრონი მაღალჩინოსანია. თუ გიგას სახელფასო შემოსავლები მხოლოდ ლარებში ანგარიშდება, თამარი კუთვნილი გასამრჯელოს ძირითადად ევროებით იღებს, კრედიტებიც და მიმდინარე ანგარიშებიც დოლარებსა და ევროებში აქვს. რაც შეეხება უძრავ ქონებას, დეკლარაციების მიხედვით, ცოლ-ქმარი პეკინის 2-ში 60 კვ.მ. ფართობის ბინაში ცხოვრობს. თუმცა, ოპონენტები ამტკიცებენ, რომ არც ბოკერიაა მთლად „გაღლეტილი“ და ისევე, როგორც სააკაშვილის სახელისუფლო ვერტიკალის დანარჩენი ჩინოვნიკები, რამდენიმე მილიონს ფლობს... ამის მტკიცება ძნელია... „თავისუფალმა თაობამ“ წყნეთში უკანონოდ გაჩეხილ ტყე-პარკთან დაკავშირებით ინფორმაცია გაასაჯაროვა, სადაც ერთ-ერთი იქ წამომართული სრასახლის მეპატრონე გიგა ბოკერიაც უნდა ყოფილიყო... ბოკერიას მეუღლემ ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

თამარ ჩერგოლეიშვილი ამბობს, რომ ბოლო დროს მისი ოჯახის მისამართით შეურაცხმყოფელმა განცხადებებმა მკვეთრად იკლო. ყოველ შემთხვევაში, მისი ფეისბუქის ფოსტა ამას ადასტურებს. და რისი ბრალია ეს, ისევ „ქართული ოცნების“ ხომ არა, რომელიც ესოდენ ლმობიერი და მიმტევებელი აღმოჩნდა ყოფილი ხელისუფლების მიმართ. **„ოპოზიციაში ყოფნა უფრო იოლია“,** ასკვნის თამარი, რომელსაც არაერთი ჯოჯოხეთი გამოუვლია თავისი უხამსი და სკანდალური გამონათქვამების გამო. მათ შორის, როცა რობერტ სტურუას **„სირი“** უწოდა, რითაც საზოგადოება ძალიან აღაშფოთა. მოგვიანებით ბოდიში მოიხადა, მე მას „Sir“ვუწოდე, რომელიც ინგლისურად მოწიწების აღმნიშვნელი მიმართვაა...

როგორც ხედავთ, ამ სკანდალური ცოლ-ქმრის გარშემო უამრავი თავსატეხი არსებობს. ეს ყველაფერი ჭორია თუ მართალი, პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს, არადა, თითქოს ყველა კითხვას ბინდი გადაეფარა და არც არავინ აპირებს გარკვევას. **ესენიც „ქართული ოცნების“ შეცდომების კვალობაზე თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში.**

თეა მოსია.

P. S. ციტატა ცურნალ „ფორბსიდან“. „ერთ-ერთ სტატიაში თამარი აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მარცხი გარდაუვალია, მაგრამ „ქართული ოცნების“ მარცხზე ბევრად მნიშვნელოვანი და მტკივნეული ის ფასი იქნება, რასაც ქაოსში გახვეული ქვეყანა მმართველი ძალის შეცდომებში გადაიხდის“. 2013 წლის მაისში თამარ ჩორგოლეიშვილს ევროპის საბჭოში აღებული სამწლიანი უხელფასო შვებულების ვადა ამოეწურა. მას უნდა გადაეწყვიტა – სტრასბურგში დაუბრუნდებოდა მშვიდ ცხოვრებას და მაღალ, საპენსიო ასაკამდე გარანტირებულ ხელფასს, თუ ტურბულენტურ საქართველოში დარჩებოდა. „მე და გიგამ ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ მანამ, სანამ საქართველოს ივანიშვილი მართავს, ჩვენ აქედან არ წავალთ. მერე შეიძლება ცოტა ხნით დავისვენოთ“.

თ. მ.

2011 წლის აგვისტოში უშიშროების საბჭომ ბათუმში სასტუმრო „შერატონში“ სამდღიანი კონფერენცია გამართა. გიგა ბოკერია თავის თანამეცხედრესა და 12 თანამშრომელთან ერთად სამი დღე „გულაობდა“ და იქ არანაირი კონფერენცია არ ჩატარებულა. ენრიკე იგლესიასის კონცერტს დაესწრნენ და ეს სიამოვნება ბიუჯეტს 55 ათასი ლარი დაუჯდა.

გადარჩენილი მხარე: თურმე, მიქოიანმა გმირულად ჩაფუშა სტალინის ანტირუსულ-ოსური ავი ზრახვები

25 მაისს საკავშირო ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა საკითხი „სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებისა და ამ ორი ოლქის ავტონომიურ რესპულიკად გარდაქმნის შესახებ. დაადგინეს: „დაევალოს საკავშირო ცკ-ის მდივანს ამხ. კისელევს ჩრდილოეთი კავკასიის სამხარეო აღმასკომსა და საქართველოს ცკ-თან შეათანხმოს სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩრდილოეთი ოსეთის შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხი“.

მალე (8 ივნისს) სტალინმა მიქოიანის პასუხი მიიღო.

მკითხველს ამ ვრცელ ტელეგრამას გავაცნობ იმ მოკლე ამონაწერის სახით, როგორც სტალინს მოუმზადა თანაშემწე ლ. როშალმა 1925 წლის 18 ივნისს და რომელიც ნათლად გადმოსცემს საქმის არსს (მიქოიანის ტელეგრამას ზოგად შტრიხებში გვამცნობს უმერენკოვიც):

„1. გაერთიანება, გეოგრაფიული მოუხერხებლობის მიუხედავად, მიზანშეწონილი იქნება.

2) გაერთანებული ოსეთი უნდა შევიდეს (ალბათ ოლქად ჩრდილოეთი კავკასიის მხარეში — ლ. როშალი) რსფსრ-ს შემადგენლობაში და არა რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში, რადგან მაშინ:

ა) საფრთხის წინაშე დადგება ჩამოყალიბებული ერთაშორისი ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიაში;

ბ) წინ წამოიწევს საკითხი მთიელთა ეროვნებებისა საერთოდ, მათი ამიერკავკასიისათვის გადაცემის ან ჩრდილოეთი კავკასიის მთიელთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის თვალთახედვით.

გ) გაერთიანებული ოსეთის რსფსრ-ის შემადგენლობაში შეყვანის შემთხვევაში, ქალაქი ვლადიკავკაზი შეიძლება დარჩეს თავისუფალ ქალაქად რსფსრ-ს შემადგენლობაში და იყოს ოსეთისა და ინგუშეთის რეზიდენციად.

4) სამხარეო კომიტეტი ოსეთის შესახებ საკითხის დაჩქარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს“.

მიქოიანის პასუხმა, როგორც ჩანს, შეარყია სტალინის ადრინდელი შეხედულება ამ საკითხის გადაწყვეტისადმი და როცა 28 ივნისს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ორჯონიკიძემ მას ტელეგრამა გაუგზავნა: **„ჩვენთან ოსეთიდან ჩამოვიდნენ ტაკოევი და სხვები საქართველოს ფარგლებში ოსეთის გაერთიანების საკითხზე. ირწმუნებოდნენ, რომ შენ თანხმობა მიეცი ამგვარ გაერთიანებაზე. დღეს მივიღეთ სსრკ ცკ-ის ოფიციალური მოთხოვნა. გთხოვთ დირექტივებს“-ო,** მეორე დღესვე 29 ივნისს, ორჯონიკიძეს უპასუხა: **„მე პირადად ოსების გეგმის წინააღმდეგი არ ვიყავი, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან** (იგულისხმება რკპ (ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთი ბიურო. ა.მიქოიანი ადრე ამ ორგანოს ბიუროს ხელმძღვანელობდა, ამიტომ ტელეგრამაში ნახსენები „სამხრეთ-აღმოსავლეთი“ შეიძლება თავის დროზე ამ ორგანოს გამგებლობაში შემავალ რეგიონს ნიშნავდეს — **ა. ა.**) **შემოსული საწინააღმდეგო აზრის გამო ძალზე ვყოყმანობ და ვერ გადამიწყვეტია, რაიმე რჩევის მოცემა. ძალიან გთხოვ, პასუხი გადადეო მიქოიანთან ჩვენ შეხვედრამდე“.**

სტალინის ამ ტელეგრამას თითქოს უნდა შეეჩერებინა „გაერთიანების მოძრაობა“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გაერთიანების იდეას „ბორბლები დაზეთილი“ ჰქონდა და ასე უცებ ვერ დამუხრუჭდებოდა.

1925 წლის 15 ივლისს საქართველოს ცკ-ის სესიამ მოისმინა ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლის სიმონ ტაკოევის მოხსენება და ერთხმად მოიწონა საქართველოს ფარგლებში ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის ავტონომიების გაერთიანების იდეა. მოვუსმინოთ ტაკოევს: **„სამხრეთი ოსეთი ჩრდილოეთი ოსეთისაგან გადაჭრით მოითხოვს, რომ... გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში“; ჩრდილოეთი ოსეთი „სურვილს აცხადებს რსფსრ-ს ჩამოშორდეს და შევიდეს საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში, „იქნებ ვინმემ იკითხოს, რატომ არის ორიენტაცია აღებული საქართველოზეო?“ იმიტომ, რომ ოსეთი არსებობდა და მხარდამხარ ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკასთან. ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო, პასუხისმგებელი მუშაკები, თვალნათლივ ხედავენ, რომ საღი ეროვნული პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში“; გარდა ამისა, „სამხრეთი ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაუერთიანდება ჩრდილოეთ ოსეთს, უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შესვლაზე“.**

ამავე სესიაზე ითქვა: **„სამხრეთი ოსეთის მშრომელნი აცხადებენ, რომ მათ კულტურულ მოთხოვნილებას და სამეურნეო საჭიროებას საქართველოს რესპუბლიკა მთლიანად, სრულად და უცილობლად აკმაყოფილებს. ამიტომ ისინი სცნობენ, რომ არავითარი საჭიროება არ არის და სრულად უსარგებლოც იქნება ახალი ექსპერიმენტის მოხდენა, ე.ი. საქართველოდან გამოყოფა, აშკარაა, რომ სამხრეთი ოსეთის ეს საღი ძახილი ყოველმხრივ ყურადღების ღირსია“.**

იმავე წლის 7 აგვისტოს კი ამიერკავკასიის ცკ-ის პრეზიდიუმმა, საქართველოს ცკ-ის წარდგინებით, განიხილა ორი ოსური ავტონომიის გაერთიანების საკითხი და დაადგინა, რომ წინააღმდეგი არ არის საქართველოს ცკ-ის 19 ივლისის დადგენილებისა ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების შესახებ ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად.

აქვე გამოიკვეთა ამიერკავკასიის ცკ-ის პრეზიდიუმის წევრის **ამაიაკ ნაზარეთიანის** ცალკე აზრი: **„იმის გამო, რომ უახლოეს ხუთ-ათ წელიწადში ეკონომიკური გაერთიანება შეუძლებელია საიმისოდ გზების უქონლობის გამო (ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის დამაკავშირებელი უღელტეხილი 9 თვით იკეტება), ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების საკითხის გადაჭრას ნაადრევად ვთვლი“.**

ამრიგად, ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანების გზაზე სულ ცოტა ორი წინააღმდეგობა გამოიკვეთა: **ერთი —„სამხრეთ-აღმოსავლეთისა (ა.მიქოიანი), რაც საფიქრებელია იმაში მდგომარეობდა, რომ არ სურდათ (ვერ თმობდნენ) ჩრდილოეთი ოსეთის საქართველოს ფარგლებში გაერთიანება; მეორე — ა.ნაზარეთიანის პირით გაცხადებული —სამიმოსვლო გზების უქონლობა, საუღელტეხილო მოძრაობის სეზონურობა, რამაც, უნდა ვივარაუდოთ, გარკვეული გავლენა იქონია გაერთიანების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტაზე.** დიახ, ჩრდილოეთი ოსეთისა და „სამხრეთი ოსეთის“ გაერთიანებისთვის აუცილებელი იყო მუდმივმოქმედი გზების გაყვანა, რაც მომავალში უნდა გაკეთებულიყო (აკი ბოლოს მიაღწიეს კიდეც როკის გვირაბის გაყვანას).

ამაიაკ ნაზარეთიანი

ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებას ერთ ოლქად, იმგვარად, რომ გაერთიანებული ოლქი შემდეგ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნილიყო. შეიძლება ეს გარემოებაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი ჩრდილოეთი კავკასიის აღმასკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებისა, ორი ოსური ოლქის გაერთიანების და მათი გაერთიანებული რესპუბლიკური ერთეულის სახით საქართველოს რესპუბლიკაში შესვლის შესახებ“.

შემდეგ სტალინი განმარტავს: **„მაგრამ ახლა, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ვცხოვრობ და ახლოს ვეცნობი სინამდვილეს, ვხედავ, რომ ეს უკიდურესობამდე მისული პოლიტიკა აუცილებლად შობს რიგ სერიოზულ მინუსებს, რომლებიც გაართულებს ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას როგორც რუსულ, ისე არარუსულ რაიონებში. ყველაზე სამწუხაროა, რომ ამ მინუსებმა უკვე იჩინა თავი, ყოველ შემთხვევაში, ჩრდილოეთ კავკასიაში. ჯერ ერთი, ოსების კვალდაკვალ, რესპუბლიკებად გარდაქმნის, რსფსრ-დან გამოსვლისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკაში შესვლის საკითხს აყენებენ ჩეჩნები. მეორე, რსფსრ-ს შემადგენლობიდან გამოსვლისა და ამიერკავკასიაში შესვლის საკითხს ამზადებს დაღესტანი. უეჭველია, რომ მათ მიბაძავენ ინგუშები და სხვები. მესამეც, ხედავენ რა ყოველივე ამას, კაზაკები (ჯერ-ჯერობით, თერგისა და ყუბანის, შემდეგ კი ახმაურდებიან დონის კაზაკებიც) უკვე ლაპარაკობენ ავტონომიაზე და კაზაკთა რესპუბლიკის შექმნაზე. ამბობენ, რომ ისინი „ოსებსა და დაღესტნელებზე ნაკლებნი არ არიან“, რომ მათაც აქვთ თავიანთი „განსაკუთრებული ინტერესები“, რომ „საჭირო არ არის რუსების განაწყენება მათთვის იმაზე უარის თქმით, რაც უკვე მიეცათ არარუსებსო“.**

ეს არის რუსული ნაციონალიზმის, ანუ ყველაზე საშიში ახალი სახის ნაციონალიზმის კვირტები, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყველაფერმა ამან არ შეიძლება რსფსრ-ის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ნაციონალური რესპუბლიკები არ განაწყოს რსფსრ-დან გამოსასვლელად და სსრკ-ში მოკავშირე რესპუბლიკების სახით შესასვლელად; რსფსრ-ის დაშლა — აქეთკენ შეიძლება წავიდეს საქმე. თუ პოლიტიკას ახლავე არ შევცვლით, რა ვქნათ? — სვამს ბოლოს კითხვას სტალინი და კატეგორიულად აცხადებს:

„არ უნდა დავეთანხმოთ იმას, რომ ჩრდილოეთი კავკასიის ნაციონალური ოლქები გარდაიქმნან რესპუბლიკებად, გადავიდნენ ამიერკავკასიაში და შექმნან ერთობლივი ფედერაცია. თორემ, ჯერ ერთი, მოგვიხდება წავიდეთ თათრეთის რესპუბლიკის, ბაშკირეთის რესპუბლიკის, ყირგიზეთის რესპუბლიკის და ა.შ. ასეთივე ფედერაციების შექმნაზე, შევურიგდეთ რსფსრ-ის დაშლას. მეორეც მოგვიხდება კაზაკთა აღმოცენებული „ნაციონალური“ მისწრაფებების დაკმაყოფილება“.

სტალინი აყენებს წინადადებებს:

1) ამიერიდან ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ოლქების რესპუბლიკებად გარდაქმნის შესახებ ნაციონალური ოლქების თავმჯდომარეთა მოთხოვნები, რომლებსაც სახკომსაბჭოს თავმჯდომარეობით კონტაპრუწობა სურთ.

2) სანქცია არ მიეცეს ჩრდილოეთი კავკასიის აღმასკომის პრეზიდიუმის წინასწარ გადაწყვეტილებას ჩრდილოეთი ოსეთის რსფსრ-ს შემადგენლობიდან გამოსვლისა და მისი საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთი ოსეთთან შეერთების შესახებ;

3) ავიღოთ კურსი რსფსრ-ს განმტკიცებისა და მის გარშემო თავისი ნაციონალური ოლქებისა და რესპუბლიკების შემომტკიცებისაკენ.

4) განვამტკიცოთ რსფსრ-ს ბიუჯეტი ნაციონალური ოლქებისა და რესპუბლიკების ინტერესთა გათვალისწინებით“.

ეს წერილი ბოლო წერტილი აღმოჩნდა „ორი ოსეთის გაერთიანების საქმეში“, თუმცა...

1925 წლის 9 სექტემბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი სერგო ორჯონიკიძე წერილს უგზავნის სტალინს, რომელშიც სხვა საკითხებთან (სამეგრელოს ავტონომიის შესახებ) ერთად წერს: **„დღეს ჩემთან მოვიდა ტაკოევი და მაჩვენა ჩრდილოეთი კავკასიის „სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ ძველი გადაწყვეტილება შეცვალეს და თანახმა არიან ოსეთის გაერთიანებაზე იმ პირობით, თუ გაერთიანებული ოსეთი რსფსრ-ში შევა. უფრო უმაქნისი და განუხორციელებელი გადაწყვეტილების მოფიქრება შეუძლებელია, საკვები ეძლევა ყოველგვარ ლაყბობას იმის შესახებ, რომ რუსეთს საქართველოსთვის ცხინვალის წართმევა უნდა. ტაკოევმა მათ თავგზა აუბნია და არ იციან, რა და როგორ გააკეთონ. მე ტაკოევს ველაპარაკე ჩვენს საუბარზე. მას ეს ესმის, თუმცა, საკითხის ამგვარი დაყენება არ სიამოვნებს. სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას პირდაპირ მასხრად აგდებად თვლის. მას შენთან ჩამოსვლა ვურჩიე“.**

ალეკო ასლანიშვილი

(დასასრული იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 108



● ქალაქი უფლისციხე ქართველებმა მტრის შემოსევისას თავისი ხელით დაანგრიეს, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში.

● საქართველომ მსოფლიოს 300-მდე ვაზის ჯიში მისცა.

● არმაზი იყო საქართველოს პირველი დედაქალაქი.

● შავი ზღვის ძველი სახელებია: პონტოს ზღვა, სპერის ზღვა და ევქსინის პონტი (სტუმართმოყვარე ზღვა).

● იყო დრო, როდესაც შავი ზღვა და კასპიის ზღვა ერთმანეთთან კუმამანიჩის სრუტით იყო დაკავშირებული.

● ბელაქანი, ზაქათალა, კახი და ევლახი — ეს ოთხი რაიონი ქართულია, რომლებიც ამჟამად საინგილოს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული.

● მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1961 წელს მთელ მსოფლიოში აღინიშნა ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლის იუბილე.

● იცით თუ არა, რომ მუდამ ხელმოკლედ მცხოვრები ვაჟა-ფშაველა სანთლის უქონლობის გამო ხშირად ცეცხლის შუქზე წერდა.

● ვაჟა-ფშაველას ერთხანს ბერად შედგომა უნდოდა, მაგრამ ახლობლებმა გადააფიქრებინეს.

● 10 წლის ვაჟა-ფშაველა უკვე შეყვარებული იყო.

● პატარა ვაჟა-ფშაველას ისე უნდოდა მომღერლობა, ხმას ძალით იბოხებდა, რის გამოც, როგორც თავად იხსენებს, „გულმა ტკივილი დაუწყო“.

● „სტუმარ-მასპინძელზე“ მუშაობისას ვაჟა-ფშაველა ორი თვე ფიქრობდა აღაზას პასუხზე, როცა ჯოყოლა ეკითხება — ნამტირალევი რადა ხარო. ერთი თვე მოანდომა მან „გველის მჭამელის“ ფინალის დაწერასაც.

● იცით თუ არა, რომ ვაჟა-ფშაველა შავად დაწერილ თავის ნაწარმოებებს მხოლოდ ერთხელ ათეთრებდა და დაწერილ ადგილებს იშვიათად ასწორებდა.

● ვაჟა-ფშაველა საკუთარ პუბლიცისტურ წერილებს კათაკმეველის ფსევდონიმით აქვეყნებდა.

● ემიგრაციაში ყოფნის დროს, პარიზში, წმ. ექვთიმე თაყაიშვილს ერთი მარჩენალი თხა ჰყავდა და იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მხოლოდ ნახევარი ლიტრი რძითა და პურით არსებობდა. შიმშილისა და ავადმყოფობისაგან მეუღლე გარდაეცვალა, მაგრამ მან ქართული განძის არც ერთი ექსპონატი გასაყიდად არ გაიმეტა.

● VI საუკუნის ძეგლი — ჯვრის მონასტერი დანგრევას წმ. ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით შეგროვებული შემოწირულობების წყალობით გადაურჩა.

● პოლიგრაფიული დიზაინის ნოვატორი ილია ზდანევიჩი ერთხანს კოკო შანელთან მუშაობდა პარიზში.

● თამარ მეფემ სიკვდილით დასჯა გააუქმა.

● რაფიელ ერისთავს ქართულ დრამატურგიაში ვოდევილის ჟანრის დამამკვიდრებლად მიიჩნევენ.

● მხატვარმა ავთო ვარაზმა მხატვრულად გააფორმა კინოფილმი „ფიროსმანი“, სადაც ფიროსმანის როლი თავადვე შეასრულა.

იცით თუ არა, რომ...

● ბუტირკის საპყრობილეში ყოფნისას (1902-1907 წწ.) დედა ფამარს (ერობაში თამარ მარჯანიშვილი, კოტე მარჯანიშვილის და), თვით კომუნისტური ციხის ადმინისტრაციაც კი პატივისცემით ეპყრობოდა — ქალთა აბანოებს მამაკაცები ემსახურებოდნენ. აუცილებელი იყო მთლიანად გაშიშვლება და ტანსაცმლის სადეზინფექციოდ ჩაბარება. ეს წესი, რა თქმა უნდა, ყველაზე ვრცელდებოდა, გამონაკლისს მხოლოდ დედა ფამარისთვის უშვებდნენ.

● იცით თუ არა, რომ უკვე მძიმედ ავადმყოფი სესილია თაყაიშვილი კინოფილმ „ცისფერი მთების“ გადაღებებზე სასწრაფო დახმარების მანქანით პირდაპირ საავადმყოფოდან მიჰყავდათ.

● დავით მესამე კურაპალატის ძე ბაგრატი აყვანილი შვილი იყო. დავით მეფე მთელი მონდომებით ცდილობდა ქართული მიწების გაერთიანებას, თუმცა, ქვეყნის გაერთიანების მოწინააღმდეგე ორგულმა დიდებულებმა მამა-შვილს შორის შუღლის ჩამოგდება მაინც მოახერხეს. საქმე ლამის ძმათამკვლელ ომამდე მივიდა, მაგრამ ბაგრატს ეყო გონიერება, მამას ეახლა და სიმართლე გაარკვია.

● გამაჰმადიანების შემდეგ ვახტანგ მეექვსეს ჰუსეინ ყული-ხანი ეწოდა.

● ვახტანგ მეექვსემ შეადგინა კანონთა ორი კრებული — ე.წ. „ვახტანგის სამართალი“, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საკითხებს და საკანონმდებლო ძეგლი „დასტურლამალი“, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფო „ინსტიტუტების“ გარეგნულ სახესა და შინაარსს.

● პირველი წიგნი, რომელიც ვახტანგ მეექვსემ სტამბაში დაბეჭდა, სახარება იყო.

● იცით თუ არა, რომ ვახტანგ მეექვსე ქართველ-სომეხთა კოალიციის შექმნას ცდილობდა ირანის წინააღმდეგ — მან ქართველი სარდლები სომეხთა კათალიკოსს სომხეთში ლაშქრის მოსამზადებლად გაატანა.

● ვახტანგ მეექვსის ასული თამარ ბატონიშვილი ერეკლე მეორის დედა იყო, ვახტანგის ბიძაშვილი ალექსანდრე ბატონიშვილი (არჩილის ძე) — რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველის ჭაბუკობის მეგობარი, ვახტანგ მეექვსის აღმზრდელი და მასწავლებელი კი — დიდი სულხან-საბა ორბელიანი.

● იცით თუ არა, რომ ვახტანგ მეექვსემ ქართლში აკრძალა ტყვეთა სყიდვა.

● იცით თუ არა, რომ გარდაცვლილი თეიმურაზის „ტყვეობა“ შაჰის კარზე თვეები გაგრძელდა: ირანის განრისხებული მბრძანებელი ქართველებს ცხედრის სამშობლოში გადმოსვენების უფლებას არ აძლევდა. მხოლოდ შაჰნავაზის თხოვნაზე ბრძანა თანხმობა და თეიმურაზ პირველი საქართველოში, ალავერდის ტაძარში, წამებული დედის წმიდა ნაშთების გვერდით დაკრძალეს.

● იცით თუ არა, რომ მეფე თეიმურაზმა თითქმის მთელი ცხოვრება სამგლოვიარო ტანისამოსში გაატარა: ყრმობის ჟამს მამით დაობლდა, მერე დედა მოუკლეს გაუგონარი ტანჯვა-წამებით, ორი ოჯახი ჰყავდა და ორივე ამოუწყდა — მოესწრო ორივე მეუღლის სიკვდილს, ორი ვაჟი შაჰ-აბასმა დაუსახიჩრა და მოუკლა, ერთიც სპარსელებს შეაკვდა, ერთი ასული შაჰის კარზე დაახრჩვეს. დარჩა ერთი ქალიშვილი და ისიც უშვილძიროდ გადაეგო.

● ბაზალეთის ომში გამარჯვებულმა თეიმურაზმა გიორგი სააკაძის მხარეს მებრძოლ იმერელ ტყვეებს თითო ყურის მოთლა მიუსაჯა, მხოლოდ ხოსია მაჭავარიანს გადაუწყვიტა ორივე ყურის მოჭრა, რაზეც გამწარებულმა მაჭავარიანმა შეჰყვირა: არ მეგონა, თუ ასეთი გულბილწი იყავიო.

● იცით თუ არა, რომ ბაზალეთის ომში გიორგი სააკაძემ კახეთის მეფე თეიმურაზი პირადად გაიწვია პირისპირ ბრძოლაში. კახელი დიდებულების გადაწყვეტილებით, მასთან მეფის მოსასხამით შემოსილი ედიშერ ვაჩნაძე გავიდა. საკაძემ იგი მოკლა.

● დემეტრე თავდადებულის ცხედარი მალულად, თევზით დატვირთული ურმით ჩამოასვენეს სამშობლოში.

● დემეტრე თავდადებულის სიკვდილით დასჯაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მედროვე სადუნ მანკაბერდელის ძემ, ამირსპასალარმა ხუტლუბუღამ. იგი დემეტრეზე განაწყენებული იყო იმის გამო, რომ სადუნის გარდაცვალების შემდეგ (1281) მეფემ ათაბაგობა თავის გამზრდელ ტარსაიჭ ორბელს უწყალობა.

წყარო: „tatatatuli.wordpress.com“

◎ ანგალა-განგალა

ოლონდ საზოგადოების ყურადღება მიიქციოს...

ანუ ვინ აკაკანებს კაკაბაძეს?!.

დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, ვის თამაშს თამაშობს „თანასწორობის ფრონტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, საკმაოდ ოდიოზურ ფიგურად ცნობილი ირაკლი კაკაბაძე, მაგრამ მისი ბოლოდროინდელი „მანიფესტი“-მოწოდება სათანადო შეფასებას რომ საჭიროებს, ფაქტია.

კაკაბაძე თავისი „აჯანყების მანიფესტში“ მოგვიწოდებს, ბოლო მოვუღოთ **„ჩერჩეტი ღარიბაშვილის და მისი მარიონეტების ხელისუფლების ბატონობას“. იგი არ მალავს, რომ გეგმავს „ღარიბაშვილის დამპალი მთავრობის“ დამხობას და იმ მიზეზებსაც ასახელებს, თუ რატომ უნდა მოვიქცეთ ასე.**

კაკაბაძის ჩამონათვალში ბევრი რამ სამწუხარო რეალობაა და ამაზე კანონიერი პრეტენზიები საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ, არ მესმის, რა შუაშია ყველაფერ ამასთან ღარიბაშვილი და იქნება თუ არა მისი „ბანდიტური მთავრობის“ დამხობა ქვეყნისთვის გამოსავალი?!

ჯერ ერთი, **ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციით იკრძალება და იგი სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება!**

მეორეც, **კაკაბაძე არ აკონკრეტებს, როგორ, რა საშუალებებით (შეიარაღებული აჯანყებით თუ გა-და-დე-ქი, გა-და-დე-ქის ძახილით) აპირებს ღარიბაშვილის მთავრობის დამხობას!**

მესამეც, **მთავრობა არჩევითი ორგანო არ არის, მას კონსტიტუციურად საქართველოს პრეზიდენტი წარადგენს და პარლამენტი ამტკიცებს. აქედან გამომდინარე, ღარიბაშვილის „დამპალი“ მთავრობის დამხობით დღევანდელი ხელისუფლება მაინც არ იცვლება — ღარიბაშვილის „ფესვებზე“ სხვა ღარიბაშილი ამოიზრდება!..**

მაშინ, რა ამოძრავებს ირაკლი კაკაბაძეს? რატომ გაეჩხირა ყელში ისედაც განტევების ვაცად ქცეული ირაკლი ღარიბაშვილი?

რაც არ უნდა ვისაუბროთ კაკაბაძის ოდიოზურობაზე და მის ფსიქიკურ ანომალიებზე, წყალი არ გაუვა, რომ იგი ვიღაცის დავალებას ასრულებს — თუ ვინ შეიძლება იყოს ის ვიღაც, კატეგორიულად მტკიცება ძნელია.

მავანნი ფიქრობენ, რომ კაკაბაძის ინიციატივის მიღმა, ამ ბოლო ხანებში საკმაოდ აღზევებული „რესპუბლიკელები“ დგანან, რომლებიც ჯავრს იყრიან ღარიბაშვილის ადრინდელ უცენზურო (დამამცირებელ) გამონათქვამებზე. ბუნებრივია, ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება.

არის განსხვავებული ვერსიაც — საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ კაკაბაძე ბიძინა ივანიშვილს ახმოვანებს, რადგან მას უკვე გადაწყვეტილი აქვს ღარიბაშვილის მოშორება და ამის გაკეთებას სწორედ ხმაურიან ფონზე აპირებს!

უკვე საუბარია ღარიბაშვილის შემცვლელზეც - საავარაუდოდ მომავალი პრემიერი დღევანდელი ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი იქნება, რომელმაც „ქართუ ბანკში“ მუშაობის პერიოდში აშკარად დაუმტკიცა ივანიშვილს ერთგულება და მინისტრის პორტფელის ჩაბარების შემდეგაც ხმაურიანი განცხადებებით და ხისტი გამონათქვამებით გამოირჩევა.

ძნელი სათქმელია, როგორი პრემიერი იქნება ნოდარ ჯავახიშვილი და აღადგენს თუ არა იგი დღევანდელი მთავრობის შელახულ რეპუტაციას (არა მგონია, მარტო ქიზიყურმა „ინექციებმა“ უშველოს!), მაგრამ, თუ ხელისუფლებამ ირაკლი კაკაბაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაიწყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სწორედაც რომ ივანიშვილის რუპორია!

საბა საბახტარაშვილი

რედაქცია მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87;
568 82-09-84.

◎ ბაქო – 2015

უარესს ვერც ვიფიქრებდით

აზერბაიჯანის დედაქალაქში მიმდინარე პირველი ევროპული თამაშების სტარტი საქართველოს 105-წევრიანი დელეგაციისთვის კატასტროფული აღმოჩნდა: მართლაც, ვინ წარმოიდგენდა, რომ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ტურნირს „ჯვაროსნები“ უმეტესწილად დაასრულებდნენ. და ეს იმ დროს, როცა საპატიო კვარცხლბეკზე უკვე 17 ქვეყნის წარმომადგენლები ავიდნენ.



ბეგი დარჩიას შეგირდთა მორიგმა ჩავარდნამ ჭიდაობის ფედერაციაში შარშან განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ წამოატივტივა. ალბათ, გემახსოვრებათ, რომ მაშინ ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის ლუკა კურტანიძის წინააღმდეგ საპროტესტო ტალღის აგორება მის მიერ ეროვნული ნაკრებისა და, უპირველესად, სწორედ კლასიკოსთა თავკაცების გადაყენებას მოჰყვა, რომელთაც ოლიმპიადაზე და რამდენიმე მუნდიალზე ჩაფლავება არ ეპატიათ. ჰოდა, ლოგიკურად იბადება კითხვა: თუ თანამდებობაზე აღდგენილი მთავარი მწვრთნელის დამოძღვრილი ბიჭები ახალი პრეზიდენტის ხელშიც ვერ აჩვენებენ ღირსეულ შედეგებს, ძველს რაღას ერჩოდნენ?

რაც შეეხება ბაქოს ხალიჩაზე განცდილი ფიასკოს უშუალო შემსრულებლებს, წულუკიძემ, ქაჯაიამ და დათუნაშვილმა „ბრინჯაოსთვის“ გამართული ბრძოლები დათმეს. მათგან განსაკუთრებით მტკივნეულად ჩვენი დელეგაციის მედროშის ზურაბ დათუნაშვილის მარცხი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ვერც წინასწარ შეხვედრებში გამოიყურებოდა სათანადოდ მომზადებულად და გაჭირვებით მიიწევდა წინ. ასე რომ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ვიმედოვნებთ, სათქმელი პირუთვნელად ითქმება და კეისარს, ამჯერად მაინც, კეისრისა მიეზღვება.

მანამდე კი ხვალ კასპიისპირეთში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირი დაიწყება. იქნებ მათ მოგვწმინდონ ნამუსი.

გია პლატონიშვილი

◎ ფეხბურთი

ბუნებაც კი ავატირეთ

ალზევებიდან დაცემამდე, რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ვარშავაში გამართულმა პოლონეთისა და საქართველოს ნაკრებების მორიგმა შესარჩევმა მატჩმაც დაადასტურა. (ევრო-2016, „დ“ ჯგუფი).

მართლაც, 85-ე წუთზე სტუმართაგან უდავოდ საუკეთესო ნავალოვსკის რამდენიმე სანტიმეტრით ქვემოთ რომ გაეგზავნა ბურთი, ანგარიში 1:1 ხდებოდა და კახი ცხადაძის გაწვრთნილ გუნდს კომპლიმენტებს არავინ

დაამადლიდა. სამწუხაროდ, მასპინძელთა მეკარე ფაბიანსკის ფუნქცია იმ საბედისწერო ეპიზოდში ხარიხამ შეითავსა, გაწბილებული „ჯვაროსნები“ კი ფსიქოლოგიურად გატყდნენ და საფინალო სასტვენამდე დარჩენილ რამდენიმე წუთში ლევანდოვსკის ჰეთ-თრიქი შეასრულებინეს.

სხვათა შორის, „ბაიერნის“ ბომბარდირი სწორედ ასეთი სტახანოვური ფინიშით იქცა შეხვედრის გმირად, თორემ შესვენებამდე ისეთი საგოლე მომენტები გაფლანგა, ანტიგმირობა გარანტირებული ჰქონდა (ჯერ ამისულაშვილმა გვიხსნა, შემდეგ – ლორიამ). მოკლედ, ყველაფერს იღბალი უნდა.

რაც შეეხება ბრძოლის საერთო სურათს, პრეტენზიულმა გულშემატკივრებმაც კი აღიარეს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთებში, განსაკუთრებით მეორე ტაიმის პირველ ნახევარში ჩვენებურთა თამაში ფეხბურთს წააგავდა. დასანანია, დისკვალიფიცირებული კაპიტნის კანკავას არყოფნაში პარტნიორთა გაძღოლის უნარი არავის რომ არ აღმოაჩნდა, თორემ, ვინ იცის, იქნებ ხმაურიანი სენსაციაც კი გამოგვეცხო.

ვფიქრობ, ერთი-ორი სიტყვა კობახიძეზეც უნდა ითქვას. მას ბრძოლისუნარიანობის დეფიციტს ნამდვილად ვერ დავწამებთ, მაგრამ როცა თითქმის ყოველი გადაცემის შემდეგ ბურთს მეტოქე ეუფლება, ამ შემთხვევაში, დაგვეთანხმებით, ნელ-ნელა ვეტერანად ჩამოყალიბებული „რიჟას“ ოსტატობა ხდება სათუო.

დაბოლოს: პარალელურად სომხეთი შინ პორტუგალიას შეაკვდა და რონალდუს გენიასთან 2:3 დამარცხდა, ხოლო აზერბაიჯანმა ოსლოში ძვირფასი ქულები დააკარგვინა ნორვეგიას –0:0.

ვიოცნებოთ, რომ ახლო მომავალში რეგიონის საფეხბურთო ლიდერის როლი მაინც დავიბრუნოთ.

ირლანდია – შოტლანდია 1:1, გიბრალტარი – გერმანია 0:7.

პოლონეთი – 14, გერმანია – 13, შოტლანდია – 11, ირლანდია – 9, საქართველო – 3, გიბრალტარი – 0 ქულა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ წყალბურთი

მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები (ივან სტრუიჩი, ნიკოლოზ შუბლაძე, გიორგი ხვედელიანი, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ხვიჩა ჯახაია, მარკო ელეზი, მარკო ელაჩა, ბექა ქავთარაძე, ზურაბ რურუა, მიხეილ ბაღათურია, დამირ ცრეპულია, ლევან ჩიკვაიძე, კონსტანტინე გეგელაშვილი, ალექსანდრე რუსიშვილი) იოვან პოპოვიჩისა და ვლადიმერ ისელიძის ხელმძღვანელობით მოსკოვში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა, იქიდან კი ყაზანის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. ჩვენმა გუნდმა პირველი ორი მატჩი რუსებსა და ესპანელებთან წააგო, შესაბამისად, 6:12 და 3:9, ხოლო ჩინელებს 16:8 სძლია და მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენი წყალბურთელებისთვის ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის, რომელიც წლეულს 25-27 სექტემბერს გაიმართება. საქართველოს ნაკრებს შანსი აქვს, კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მეორედ მოხვდეს. საამისოდ ისრაელში მასპინძლებთან, ჰოლანდიელებსა და ლიტველებთან პაექრობისას მეორე ადგილი მაინც უნდა დაიკავოს. ყაზანიდან ჩვენმა გუნდმა სლოვაკეთს მიაშურა, სადაც მასპინძლებთან ერთად ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

გივი გაგუა

სურათზე: საქართველოს ნაკრები ყაზანის ტურნირის დაჯილდოების ცერემონიალზე.

◎ ჩოგბურთი

ცივაძე ნახევარფინალში დამარცხდა

პანტიანში ზედიზედ ხუთჯერ გაიმართა ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. მე-4 შეჯიბრება თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა მოიგო, ხოლო დანარჩენ ოთხში წარმატებას უცხოელებმა მიაღწიეს. ბოლო ასპარეზობაში მთავარი პრიზები იტალიელებმა დაისაკუთრეს. ჩვენებურთაგან ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალში მხოლოდ გიორგი ცივაძემ გაიღწია – მეოთხედფინალში მას სათამაშოდ ასპარეზობის რეიტინგფავორიტი ვიქტორ ბალუდა (რუსეთი) არ გამოუცხადდა, იქ კი ბრაზილიელ კაიო სილვას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია – 5:7, 2:6. მეოთხედფინალში ალექსანდრე ბაკში მეორე ნომრად განთესილ მარკო ბორტოლოტისთან (იტალია) დამარცხდა – 4:6, 2:6, გიორგი ჯავახიშვილმა კი მარეკ რეჰაჩეკთან (ჩეხეთი) წააგო – 3:6, 6:4, 3:6. ფინალში იტალიელმა სილვას აჯობა – 7:5, 7:5 და მთავარი პრიზი დაიმსახურა. აპენინელმა წყვილებშიც წარმატებით ითამაშა თანამემამულე ფრანჩესკო მონკაგატოსთან ერთად. ნახევარფინალში ალექსანდრე ბაკში და შოთა მეფარიძე ჩამოიშორა გზიდან – 7:6, 6:3, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში პოლონელებს – კაროლ ჟევიესკისა და იან ზიელინსკის სძლია- 6:3, 6:2.

ლაშა დიდია

◎ თაობა

სასკოლო ლიგის ჩემპიონობა 138-ე საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა

დასრულდა 2015 წლის სასკოლო ლიგა მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა თბილისის 80-მდე კერძო და საჯარო სკოლის 2002-2003 წლებში დაბადებულმა 800-მა მოსწავლემ მიიღო. ტურნირი მიმდინარეობდა ოლიმპიური სისტემით. ფინალში ერთმანეთს თბილისის 138-ე და 155-ე საჯარო სკოლების გუნდები შეხვდნენ. ანგარიშით 6:1 გამარჯვება დარჩა 138-ე საჯარო სკოლას და სასკოლო ლიგის თასსაც იგი დაეუფლა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 180-ე და 39-ე საჯარო სკოლების გუნდები. დაძაბულ ორთაბრძოლაში პენალტების სერიაში გაიმარჯვა 39-ე საჯარო სკოლის გუნდმა.

გამარჯვებულები თასითა და სიგელებით დააჯილდოვეს საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გია ბეგიაშვილმა, ვიცე-პრეზიდენტმა დავით ხავთასმა და გენერალურმა მდივანმა მევლუდ ლაშაურმა.

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის თბილისის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს კოტე დიმიტრიშვილს ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის.

კობა კობახიძე

◎ კოპა ამერიკა

ბრაზილიას მოგება გაუჭირდა

2015 წლის კოპა ამერიკის ლიდერებს მძიმე ბრძოლები აქვთ და არც C ჯგუფის მატჩები გახლდათ გამონაკლისი.

ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს პერუს დასამარცხებლად 92 წუთი დასჭირდა. მესამე წუთზე კრისტიან კუევამ „სელესაო“ სწრაფი გოლით დაამწუხრა. დუნგას შეგირდებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს – დანი ალვეშის გადაცემის შემდეგ თავური დარტყმით ნეიმარმა წონასწორობა აღადგინა და სანაკრებო დონეზე 44-ე გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ „ბარსელონას“ თავდამსხმელს რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდა: ჯერ პერუელთა მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, შემდეგ კი მეტოქე ძელმა იხსნა. ნეიმარი საგოლე გადაცემებსაც აკეთებდა, დუგლას კოსტა მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე კარგ პოზიციაზე გაიყვანა და ამ უკანასკნელმაც ზუსტი დარტმით ბრაზილიას სამი ქულა მოუტანა.

პერუელები მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდნენ და ბრაზილიას ტოლი არ დაუდეს, თუმცა სასურველი ანგარიში მაინც ვერ დააფიქსირეს. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად ნეიმარი დაასახელეს.

აღნიშნული გამარჯვება ბრაზილიისთვის რიგით მეთერთმეტე გახლდათ. მუნდიალზე ნაჩვენები საშინელი თამაშის შემდეგ, რაც ლუიშ ფელიპე სკოლარი დუნგამ შეცვალა, გუნდს მაქსიმალური შედეგი აქვს. დუნგას ნაკრებში გერმანიასთან ნათამაშებ ფეხბურთელთაგან მხოლოდ 6 ჰყავს.

ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა კოპა ამერიკის ბოლო 6 ტურნირიდან ოთხში იმარჯვა, უკანასკნელი სამიდან კი ორი მოიგო.

ვენესუელა – კოლუმბია 1:0.

B ჯგუფი. არგენტინა – პარაგვაი 2:2, ურუგვაი – იამაიკა 1:1.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

„თბილისის თასი“ მოგებით დაიწყეს

„ავჭალის სარაგბო სტადიონი“
საქართველო-ურუგვაი 19:10 (13:10)

საქართველო: წიკლაური, აფციაური, გიგაური (მჭედლიძე 63), შარიქაძე (ტალახაძე 79), ფრუიძე, მალაღურაძე, ბეგაძე (ხუციშვილი 63). თეთრაშვილი (ბეჟიაშვილი 60), ბრეგვაძე (თედორაძე 79), ხატიაშვილი (მირცხულავა 71), დათუნაშვილი, მიქაუტაძე (ჩხაიძე 54), შუბითიძე (გორგაძე 60), ლომიძე, ბიწაძე.

ურუგვაი: მიერესი, ლეივაისი (ხ. ეჩევერი 53), პრადა, რომანი, ჟივერნო, ბლენხიო (დურანი 71), ორმაჩეა. კორალი (სანგინეტი 63), კლაპენბახი (კესლერი 47), საგარიო (არვოლეჟა 47), ვილსეკა, სერვინო (პალომეკე 73), ბიერი (ბრაუნი 73), ბასკუ (მანიო 53), გამინარა.

მსაჯი: მარიუს მიტრეა (იტალია).

საქართველოს დედაქალაქი ავჭალის სტადიონზე მორაგბეთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებას - „თბილისის თასს“ მასპინძლობს. ტურნირში ოთხი გუნდი მონაწილეობს: საქართველოს და ურუგვაის ეროვნული, იტალიისა და ირლანდიის მზარდი ნაკრებები. ამ ასპარეზობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ბორჯღალოსნებისა“ და სამხრეთამერიკელებისთვის, რადგან ისინი მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპისთვის ემზადებიან და ახალი მოთამაშეების გამოცდა სურთ. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა გუნდმა პაექრობა ექსპერიმენტული შემადგენლობით დაიწყო. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ დებიუტანტებმა იმედები გაამართლეს და ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელის – მილტონ ჰეიგის დადებითი შეფასებაც დაიმსახურეს.

მასპინძლებმა ოკეანისგაღმელებს თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და უკვე მე-8 წუთზე ლეღოც გაიტანეს. თავი მიქაუტაძემ გამოიჩინა. გარდასახვა ზუსტად შეასრულა წიკლაურმა – 7:0. ხუთიოდ წუთში ჩვენებმა ანგარიშში ერთ ზუსტ ჯარიმასაც გამორჩნენ – 13:10.

შესვენების შემდეგ თამაშის სადავეები ისევ ჩვენებს ეპყრათ ხელთ – წიკლაურმა და მალაღურაძემ თითო ჯარიმა გაიტანეს. საბოლოოდ „ბორჯღალოსნებმა“ სარეიტინგო ბრძოლაში 19:10 გაიმარჯვეს.

პირველი ტურის მეორე მატჩში მზარდმა ირლანდიამ მზარდ იტალიას აჯობა – 25:0.

სხვაობა ათამდე აიყვანეს. ასეთმა დასაწყისმა ურუგვაელებს, ეტყობა, ცივი შხაპი გადაავლო, რამაც ისინი გამოაფხიზლა და წონასწორობის აღსადგენად ათიოდე წუთი ეყოთ. ტაიმის მიწურულამდე უპირატესობას ისევ ქართველი მორაგბეები დაეუფლნენ და

სატურნირო მდგომარეობა. ირლანდია – 5, საქართველო – 4, ურუგვაი – 0, იტალია – 0 ქულა.

17 ივნისი. ურუგვაი-ირლანდია, საქართველო-იტალია.

21 ივნისი. ურუგვაი-იტალია, საქართველო-ირლანდია.

ლექსო ციცაძე

◎ კალათბურთი

„მეომრებს“ ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დარჩათ

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის სუპერფინალის მეხუთე შეხვედრა გაიმართა. „გოლდენ სტეიტმა“ საშინაო არენაზე „კლივლენდი“ 104:91 დაამარცხა და სერიაში 3:2 დაწინაურდა. მატჩში გადამწყვეტი მეოთხე პერიოდი **აღმოჩნდა, რომელიც „მეომრებმა“ 31:24 მოიგეს.**

ოქროსშტატელებს 37 ქულით, 7 მოხსნით და 4 პასით სტეფ კარიმ ულიდერა. „კლივლენდის“ „ყოჩმა“ ლებრონ ჯეიმსმა სამმაგი დუბლი შეასრულა: 40 ქულა, 14 მოხსნა და 11 პასი. „მეფემ“ 8-დან 3 სამქულიანი, 26-დან 12 ორქულიანი და 9-დან 7 საჯარიმო სროლა ჩააგდო.

აშკარაა, რომ ლებრონ ჯეიმსი თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, მაგრამ „კლივლენდს“ გუნდის ორი ლიდერი კაირი ირვინგი და კევინ ლავი აკლია. ვერც ჯეიარ სმიტმა, ვერც შამპერტმა და ვერცერთმა სხვა კალათბურთელმა ლავის და ირვინგის ჩანაცვლება ვერ მოახერხეს. სუპერფინალში „მეომრებს“ ტრავმების მხრივ ჯერჯერობით არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ.

სერიის მეექვსე შეხვედრა ხვალ კლივლენდში მოეწყობა. თუ „გოლდენ სტეიტი“ მოიგებს, კლუბი ჩემპიონი გახდება, ხოლო თუ „კავალერიამ“ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, მაშინ გადამწყვეტი მეშვიდე შეხვედრა ოკლენდში გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ფაბრეგასის თამამი გულის სწორი

სესკ ფაბრეგასის სატრფო, დამწყები მოდელი დანიელა სემაანი განსაკუთრებულად ქარ-ცეცხლიანი ბიოგრაფიით ნამდვილად არ გამოირჩევა და მასზე ვერც იმას ვიტყვით, ამა ცხოვრებას გემო ბოლომდე გაუგოო, მაგრამ საქმე კი სწორედ აქეთკენ მიდის.

დანიელა სემაანს გადაწყვეტილი აქვს, რომ პოპულარობა გავის ნარნარი რხევითა და მკერდის ციალით მოიპოვოს და კუნძულ იბიცაზე ისეთ თამამ ფოტოგადაღებებში აპირებს მონაწილეობას, რომ ფოტოგრაფებს თუკი ჰორმონალური გადახრები არ ექნებათ, ალბათ ნერვები და ჯიგარი ერთად დაწყდებათ.

დანიელა და სესკი უკვე ოთხი წელია სატრფოთა სტატუსით მიდი-მოდიან. ცოტა ხნის მანძილზე ერთადაც ცხოვრობდნენ, თუმცა მერე რატომღაც ცალ-ცალკე ყოფნა და პერიოდული შეხვედრები ამჯობინეს. ამის მიზეზი ცნობილი არაა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ საბაბი ძილში დანიელა სემაანის ხვრინვა არ იქნება.

როსტომ რაჭველიშვილი

ნანა ივანიაძე-ფახურიძე, ნონა ფახურიძე-კაცაძე, ნანა (ნანო) კაცაძე, ლუკა კაცაძე, ბექა კაცაძე, ბეჟან ფახურიძე, ბესიკ ფახურიძე, რევაზ ფახურიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, ღირსების მედლის კავალრის, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის კულტურის სახლის ყოფილი დირექტორის, უხუცესი ადამიანის, ქალბატონ

ლუბა (ვარდო) მატკავას

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 15 ივნისს.

შურა ბლუაშვილი, რევაზ ბასარია, მურად ჭურაძე, რევაზ კაკულია, ჯამბულ ბაკურაძე, შოთა ნასიბაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ კობიძეს მეუღლის, ქალბატონი

ლეილას

გარდაცვალების გამო.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1962 წლის კურსდამთავრებულები: ნათელა ვაჩნაძე, ია ჩიჩუა, ქეთინო რამიშვილი, მარინა ცქიტიშვილი, თამრიკო შათირიშვილი, ანზორ ასათიანი, სოსო კვიციანი, დიმიტრი ლეთოდიანი, როინ მეტრეველი, ავთო წოწკოლაური, გურამ დოჩანაშვილი, ზურაბ მაჩაიძე, უშანგი მდინარაძე, ზურაბ რატიანი, გურამ ყორანაშვილი, გივი ნარსია, ცეზარ ლაშხი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ტრაგიკულად დაღუპული ერთგული მეგობრის, უპატიოსნესი პიროვნებისა და კეთილსინდისიერი მოქალაქის

გივი დვალის

გარდაცვალებას.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №627

12 ივნისი 2015 წ. ქ. თელავი

თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის №602 ბრძანების „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის ნებართვის გასაცემად აუქციონის გამოცხადების შესახებ“ ბათილად ცნობის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის და რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 08 ივნისის №602 ბრძანება „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის ნებართვის გასაცემად აუქციონის გამოცხადების შესახებ“.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

◎ ინფორმაცია

სპეცოპერაცია პანკისში

პანკისის ხეობაში კვირას სპეცოპერაციის დროს დაკავებული ქისტები გაათავისუფლეს. მათ შორის „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის თარხან ბათირაშვილის იგივე ალშიშანის ბიძაშვილი მერაბ ცათიაშვილი.

არსებული ინფორმაციით, ამ დრომდე პატიმრობაში რჩება სოფელ ჯოყოლოს იმამი აიუფ ბორჩაშვილი.

პანკისის ხეობის ოთხ სოფელში, ჯოყოლოში, ბირკიანში, ომალოსა და დუმასტურში სპეცოპერაცია დაახლოებით 18:00 საათისთვის ერთდროულად დაიწყო. ადგილობრივების თქმით, მიმდინარეობდა სახლების ჩხრეკა და პირადი ნივთების ამოღება.

სამართალდამცველებმა ჩხრეკა ომარ ალ შიშანის მეგობრის ჯოყოლა აჭიშვილის სახლშიც ჩაატარეს. პანკისის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის პარალელურად, თბილისში მცხოვრები ქისტებიც დაიკითხნენ.

არსებული ინფორმაციით, პანკისში ჩატარებული სპეცოპერაცია ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლას უკავშირდება.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87; 568 82-09-84..

◎ ჩვენი კარაბადინი

საიდან ეს ტკივილი?

რატომ გვემსხვრევა ზურგი

ზურგი აგტკივდა, რამდენიმე დღე იწექით, ღებულობდით გამაყუჩებელ წამლებს, და ერთი კვირის შემდეგ ყველაფერმა გაიარა. პოლიკლინიკისთვის არც მიგიმართავთ – რატომ უნდა დაკარგო დრო, ახლა ხომ ყველაფერი კარგადაა?!

ძალიან ცდებით – ექიმთან მისვლა აუცილებელია, ვინაიდან ასეთი ხანმოკლე ტკივილების შემდეგაც კი შეიძლება იმალებოდეს სერიოზული პრობლემები. ზურგში ტკივილის მიზეზის განსაზღვრა დამოუკიდებლად საკმაოდ ძნელია. ორგანოები და ქსოვილები აქ ბევრია, ასე რომ ვარიანტებიც თავზე საყრელია.

ხერხემალშორისი დისკები

ტკივილს ზურგში ყველაზე ხშირად ოსტეოქონდროზს – ხერხემალშორისი დისკების გამოფიტვას – მიაწერენ ხოლმე, რის შედეგადაც მცირდება მათი სიმაღლე, სიმყარე, უნარი მოახდინოს დატვირთვის ამორტიზირება. სამწუხაროდ, ასე აკეთებენ არა მხოლოდ თავად პაციენტები, არამედ ბევრი ექიმიც, განსაკუთრებით თუ ისინი არ სპეციალდებიან ნევროლოგიის ან რევმატოლოგიის დარგში.

ეს შეცდომაა – თავისთავად ოსტეოქონდროზი არ იწვევს ტკივილების შეგრძნებას. ტკივილები ჩნდება მხოლოდ მისი გართულების დროს. ერთ-ერთი ყველაზე ხშირია – რადიკულიტი. ამ შემთხვევაში იმის გამო, რომ დისკების სიმაღლე მცირდება, მალები კი უახლოვდებიან ერთმანეთს, შეიძლება გადაიჭიმოს ის ნერვული დაბოლოებანი, რომლებიც ხერხემლიდან გამოდიან. ეს იწვევს ტკივილს, რომელსაც ვგრძნობთ არა მხოლოდ ზურგში, არამედ შეიძლება ფეხზეც გადავიდეს.

ნერვული დაბოლოების გადაჭიმვასთან ხშირად მივყავართ ხერხემალშორის თიაქარსაც, რომელიც წარმოიქმნება, როდესაც ხერხემლის დისკის ნაწილი „თავს გამოყოფს“ ხოლმე თავისი ნორმალური ანატომიური საზღვრების მიღმა.

ხერხემლის სახსრები

იმაზე, რომ პრობლემები შეიძლება მათში იყოს, ადამიანთა უმრავლესობა არ ფიქრობს. ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ ხერხემალში საერთოდ არის სახსრები. მაგრამ ეს ასეა. ყოველ მალას აქვს ორ-ორი წამონაზარდი ზევიდან და ორ-ორი – ქვევიდან. სახსრები წარმოიქმნება იმ ადგილებში, სადაც ზედა მალების ქვედა წარმონაქმნები უერთდებიან ქვედა მალების ზედა წარმონაქმნებს. სწორედ სახსრების წყალობითაა ჩვენი ხერხემალი სტაბილური. ისინი ასევე მნიშვნელოვანია მისი მოძრაობის უზრუნველყოფისათვის.

როგორც ნებისმიერ სხვა სახსარშიც, ხერხემლის სახსრებშიც არის ხრტილები. თუ ისინი ამა თუ იმ მიზეზის გამო ცვდებიან, სახსარს უკვე აღარ შეეძლება სრულფასოვნად შეასრულოს თავისი ფუნქციები, მასში ანთებითი პროცესი ვითარდება. ამის პასუხად რეფლექტორულად იკუმშება კუნთები, რომლებიც გარს აკრავენ ხერხემლის ამ სეგმენტს, და ეს ტკივილის შეგრძნებას იწვევს. სამწუხაროდ, ასეთი ტკივილი ზურგში ხშირად ქრონიკული ხდება. ხშირი, შედარებით ხანმოკლე პირველი შეტევის შემდეგ იგი შეიძლება მიწყნარდეს, მაგრამ ხშირად კვლავ და კვლავ ბრუნდება.

კუნთები

კუნთების სპაზმი – ყოველთვის მტკივნეული მოვლენაა. **ზურგში ის შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ხდებოდეს. ეს არის სიმძიმეების აწევაც, მოუხერხებელი მოძრაობაც, არასახარბიელო პოზაში ხანგრძლივი ყოფნაც. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – გაცივებაა.** შემთხვევითი როდია, რომ პაციენტების რიცხვი კუნთოვანი ტკივილებით ხშირად იზრდება დიდთოვლობის შემდეგ: ხალხი გამოდის თოვლის გადასაყრელად, მუშაობის შემდეგ ხურდებიან, იხსნიან ქურთუკებს – და წელი ეყინებათ. წლის თბილ დროს ეს პრობლემა არანაკლებ აქტუალურია. ორპირი ქარები, კონდიციონერები, ქარი სააგარაკო მონაკვეთზე მუშაობის დროს, ბანაობა მდინარეში – ეს ყველაფერი შეიძლება ზურგის კუნთების სპაზმის მიზეზი გახდეს. ასეთი ტკივილი დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც გაცივებას უნდა ვერიდოთ.

და ისიც, რაც შიგნითაა

სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის სწორად როდი ვაფასებთ ჩვენი ორგანიზმის სიგნალებს. მაგალითად, ტკივილი გულში ბევრს შეცდომით ძმარვად მიაჩნია, თავის ტკივილი კი ზოგჯერ მოწმობს ცვლილებებს კისერში. ამ ტკივილის ყველაზე საშიში სახე ზურგში შეიძლება განპირობებული იყოს სულაც არა ზურგის პრობლემით. წელი შეიძლება გვემსხვრეოდეს დარღვევების გამო თირკმელებში, ღვიძლში, კუჭქვეშა ჯირკვლის ავადმყოფობის გამო. ხშირად ტკივილი ზურგში ჩნდება სიმსივნეების გამო შინაგან ორგანოებში ან თავად ხერხემალში. ეს ყოველივე – სერიოზული, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობაა. საბედნიეროდ, ისინი არც ისე ხშირად გვხვდება – ზურგში ტკივილის დროს შინაგან დაავადებებს ნახულობენ შემთხვევების დაახლოებით 5 პროცენტში. მაგრამ მათი დროული გამოვლენა და მკურნალობის დაწყება მეტად მნიშვნელოვანია. ამიტომ ნებისმიერი ტკივილი ზურგში – სუსტი თუ ძლიერი, ხანგრძლივი და ხანმოკლე, მწვავე და ყრუ – უნდა გახდეს აუცილებელი საბაბი, რომ მივაკითხოთ ექიმს.

უნდა გვახსოვდეს

ზურგში ტკივილების **მოხსნა უწამლოდ, უმრავლესს შემთხვევაში, შეუძლებელია. წამლებს ნიშნავს ექიმი, მაგრამ თავად პაციენტებმა ორიენტირება უნდა მოახდინონ მათზე და სწორად გამოიყენონ ისინი.**

- **არასტანდარტული ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებები სწრაფად ამცირებენ ტკივილის სინდრომს, ამიტომ ისინი საჭიროა იმ მომენტებში, როდესაც ტკივილი განსაკუთრებით ძლიერია. მათი ხანგრძლივი მიღება არ არის საჭირო, იმიტომ რომ მათ აქვთ უამრავი თანმდევი ეფექტი (ეს პრეპარატები განსაკუთრებით ცუდად მოქმედებენ კუჭსა და გულზე).**
- **მიორელავსანტები – ესაა საშუალებები, რომლებიც თავიდან გვაცილებენ კუნთების სპაზმებს, რისი წყალობითაც ტკივილი სუსტდება. მათ ასევე იყენებენ ძირითადად მწვავე პერიოდში.**
- **ქონდროპროექტორები სასარგებლოა, თუ ტკივილი ზურგში გამოწვეულია ხერხემლის სახსრების დაზიანებით. ასეთი საშუალებები შეიცავენ გლუკოზამინსა და კონდროიტინ სულფატს – კომპონენტებს, რომლებიც აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას სახსრების ხრტილში, აძლიერებენ მას და აჩერებენ მათს დანგრევას, ქონდროპროტექტორების მიღება შეიძლება უკვე მწვავე პერიოდში, მაგრამ მათ რომ მოგვცენ საჭირო ეფექტი, კურსი უნდა ჩავიტაროთ მას შემდეგაც, რაც ტკივილი გაივლის. მკურნალობის ხანგრძლივობა – 3-დან 6 თვემდეა.**
- **პრეპარატებს** B ჯგუფის ვიტამინებით ნიშნავენ იმისათვის, რომ აღადგინონ ნერვული ფესვი, რომელიც დაზიანდა რადიკულიტის დროს. მკურნალობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ექიმი, ჩვეულებრივად კურსი რამდენიმე კვირა გრძელდება.

ЗДОРОВЬЕ

◎ ალიმენტი

ციფრებსა და ფაქტებში

„ალიმენტი“ ბერძნული სიტყვაა და „კვებას“, „შენახვას“ ნიშნავს.

ალიმენტის გადახდა ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის დროიდანაა ცნობილი. მაშინ ალიმენტები არ მტკიცდებოდა კანონმდებლობით, მაგრამ არსებობდა, როგორც ტრადიცია. პირველი მეალიმენტეები უკანონოდ შობილი ბავშვების მამები იყვნენ.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ალიმენტების წილი დააწესეს 1936 წელს და ბევრ მაშინდელ მოკავშირე რესპუბლიკაში დღემდე არ შეცვლილა.

ალიმენტი შეიძლება დაინიშნოს მყარი თანხით, თუ მშობელს აქვს არარეგულარული შემოსავალი, ღებულობს გამომუშავებას საქონლით; ფარავს შემოსავალს, მაგრამ აქვს მდიდარი ქონება...

შემოსავლებიდან 10-30 პროცენტი – ასეთია ალიმენტის საშუალო ოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ალიმენტი შეიძლება დაუნიშნოს მოსამართლემ ყოფილ ცოლს, თუ ის ფეხმძიმედაა ან ზრდის ბავშვს 3 წლამდე. აგრეთვე ყოფილ მეუღლეს, თუ მათ არ გააჩნიათ შრომის უნარი და არ აქვთ სახსრები არსებობისთვის ანდა უვლიან საერთო ინვალიდ ბავშვს.

700 ევრო თვეში – ბავშვზე მაქსიმალური ალიმენტია გერმანიაში, მამის შემოსავლის მიუხედავად.

2013 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სასჯელი პატიმრობის სახით 20 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო ალიმენტის გადაუხდელობის გამო. მათ ასევე ართმევენ ავტომობილის მართვის უფლებას.

46 000 დოლარი ყოველთვიურად – ასეთია სამართლის ისტორიაში ყველაზე დიდი ალიმენტი. მოდელმა ლინდა ევანგელისტამ სასამართლოს მეშვეობით მიიღო იგი თავისი შვილის მილიარდელი მამისგან ფრანსუა-ანრი პინოსგან ავგუსტინის შესანახად.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკელი ქმრების 3 პროცენტი, ვისაც განქორწინება მოუხდა, ღებულობდა ალიმენტს თავისი ყოფილი ცოლისგან, თუმცა ასეთი ქმრების რიცხვი ელვისებურად იზრდება.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“

მაჩაბლის ქ. №7.

293-37-87; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **რა ღირს პარაშუტით გადმოხტომა?**

– ათი ათასი.

– **საშიშია, უცებ პარაშუტი რომ არ გაიხსნას?**

– **მაშინ ფულს დაგიბრუნებთ.**

* * *

– **დასწყევლოს** ღმერთმა, **რა ჭედვაა, უკვე ორი საათია, ერთ ფეხზე ვდგავარ,** – ეუბნება ტიპს ტრამვაიში თანამგზავრი.

– **და წარმოიდგინეთ, სწორედ ჩემს ფეხზე.**

* * *

– **მამი,** მამი, **მიყიდე რა, დოლი!**

– **შენი დოლიღა მაკლია, ისედაც თავი მისკდება ხმაურისგან.**

– **მიყიდე რა, მამი, მე მარტო მაშინ დავუკრავ, როცა შენ გეძინება!**

* * *

– **სახლში** უთოს გამორთვა დამავიწყდა!

– **და რა, ახლა სახლში ყველაფერი დაგეწვება?**

– **არა, ბიჭო, ყველაფერი დამიუთოვდება!**

* * *

– **გასაკვირი** ვინმეა ეს მღებავი! ჩვენი სამზარეულო ერთ დღეში შეღება, მეზობლისას კი ორი კვირაა წვალობს, – ეუბნება ცოლი ქმარს.

– **და ვერ ხვდები, რატომ?** – **შენ ორმოცდაათი წლისა ხარ, მეზობლის ქალი კი ოცისა.**

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24